



კომუნიკაციური მოქმედების თეორია ი. ჰაბერმასის სოციოლოგიური შეხედულებები

1. ი. ჰაბერმასი როგორც პიროვნება და მეცნიერი.
2. ლუმანი და ჰაბერმასი: ფუნქციონალური დიფერენციაცია და სოციალური ინტეგრაცია.
3. სიცოცხლის (ცხოვრების) სამყაროს დიფერენციაცია – დეცენტრალიზაცია და სოციალური მოქმედების ტიპები.
4. ცოდნა და ინტერესები. უთანხმოება მარქსთან.
5. რაციონალიზაცია, კომუნიკაცია, დისკურსი.
6. ცხოვრების (სიცოცხლის) სამყაროს კოლონიზაცია.
7. “სისტემა” და “სიცოცხლის სამყარო”.
8. სოციალური და სისტემური ინტეგრაცია.
9. სისტემის მიერ ცხოვრების სამყაროს კოლონიზაცია და მისი დაძლევის გზები.
10. თანამედროვეობის დაუსრულებელი პროექტი.
11. ჰაბერმასი პოსტმოდერნისტების წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები: მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი, ცხოვრების სამყარო როგორც მნიშვნელობათა არათემატიზირებული ჰორიზონტი., სოციალური პროგრესი და რაციონალურობა. სტრატეგიული, ნორმატიული, დრამატურგიული და კომუნიკაციური მოქმედება., დისკურსი და “იდეალური სამეტყველო სიტუაცია”, ცხოვრების სამყაროს კოლონიზაცია, სოციალური და სისტემური ინტეგრაცია, რაციონალური საზოგადოება.

1. იურგენ ჰაბერმასი როგორც პიროვნება და მეცნიერი.

იურგენ ჰაბერმასი დღეს არის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სოციალური თეორეტიკოსი. ის დაიბადა, საშუალო კლასის საკმაოდ ტრადიციულ ოჯახში 1929 წლის 18 ივნისს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში. ჰაბერმასის მამა სავაჭრო პალატის დირექტორი იყო. ყმაწვილკაცობაში, მეორე მსოფლიო ომმა მასზე დიდი გავლენა იქონია. ომის დამთავრებამ დიდი იმედები და შესაძლებლობები მისცა გერმანელებს, მათ შორის ჰაბერმასს. ნაციზმის კრახმა ოპტიმისტური განწყობა შექმნა გერმანიის მომავლის შესახებ, მაგრამ პირველმა ომისშემდგომმა წლებმა იმედები გაუცრუა. ნაციისტური რეჟიმის დასრულებით გაიზარდა ინტელექტუალური შესაძლებლობები, ადრე აკრძალული წიგნები ხელმისაწვდომი გახდა ჰაბერმასისათვის. ეს იყო დასავლური და გერმანული ლიტერატურა, მათ შორის მარქსისა და



ენგელსის ტრაქტატები. 1949 – 1954 წწ. გოტინგენში, ციურიხსა და ბონში ჰაბერმასმა სხვადასხვა დისციპლინები (მაგალითად, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, გერმანული ლიტერატურა) შეისწავლა, მაგრამ ამ დროის ჰაბერმასის არცერთი მასწავლებელი არ იყო გამოჩენილი პიროვნება, მეტიც, უმეტესობას სახელიც კი ქონდათ გატეხილი, რადგან მხარს დიად უჭერდნენ ნაციისტებს და აგრძელებდნენ აკადემიურ საქმიანობას. ჰაბერმასმა დოქტორის ხარისხი მიიღო ბონის უნივერსიტეტში 1954 წელს და ორი წლის განმავლობაში ჟურნალისტად მუშაობდა.

1956 წელს ჰაბერმასი მუშაობას ფრანკფურტის სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტში იწყებს და ფრანკფურტის სკოლასთან თანამშრომლობს. სინამდვილეში ის გახდა ამ სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის, თეოდორ ადრონოს ასისტენტი და ასევე ინსტიტუტის კორპორაციის წევრი (Wiggershaus, 1994). ფრანკფურტის სკოლას ხშირად თვლიან თანმიმდევრულად, თუმცა ჰაბერმასი ასე არ ფიქრობს: ჩემთვის არასოდეს არ არსებობდა თანმიმდევრული თეორია. აღორნო წერდა ნარკვევებს კულტურის საკითხებზე და ჰეგელის თემებზე აწყობდა სემინარებს. მან მარქსიზმის გარკვეული საწყისები წარმოადგინა – ეს უკიდურესი სრულყოფილება იყო (Habermas, cit. Wiggershaus, 1944, p.2).

ჰაბერმასი სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტთან თანამშრომლობდა, მაგრამ დამოუკიდებელი ინტელექტუალური ორიენტაცია ქონდა. 1957 წელს მან გამოაქვეყნა სტატია, რომელმაც ინსტიტუტის დირექტორთან, მაქს ჰორკჰაიმერთან განხეთქილება გამოიწვია. ჰაბერმასი მოითხოვდა როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კუთხით კრიტიკის გაძლიერებას, ჰორკჰაიმერი კი ამას ინსტიტუტისათვის, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, საშიშად თვლიდა. დირექტორი დაბეჯითებით მოითხოვდა ჰაბერმასის განთავისუფლებას სამსახურიდან: „ალბათ მას წინ ბრწყინვალე სამწერლო კარიერა აქვს, მაგრამ ინსტიტუტს ის მხოლოდ ზიანს მოუტანს“ (Wiggershaus, 1994, p.555). ბოლოს და ბოლოს სტატია დაიბეჭდა, მაგრამ ინსტიტუტის პატრონაჟისა და მისი საერთოდ ხსენების გარეშე. საბოლოო ჯამში ჰორკჰაიმერი ჰაბერმასს გაუსაძლის პირობებს შეუქმნის და ისიც წავა ინსტიტუტიდან.

1961 წელს მარბურგის უნივერსიტეტში ჰაბერმასი გახდება პრივატ – დოცენტი და დაიცავს თავის მეორე დისერტაციას, რომლის დაცვამდე მას რამოდენიმე გახმაურებული სტატია უკვე ქონდა გამოქვეყნებული და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის მასწავლებლად იყო წარდგენილი. აქ ის 1964 წლამდე დარჩა, შემდეგ ფრანკფურტის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და სოციოლოგიის მასწავლებლის თანამდებობაზე გადადის. 1971- 1981 წლებში ის მაქს პლანკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. შემდეგ ფრანკფურტის უნივერსიტეტს უბრუნდება, ხოლო



1994 წელს თავს ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და ამ უნივერსიტეტის დამსახურებული (ემერიტუსი) პროფესორი ხდება. მან რამოდენიმე პრესტიჟული აკადემიური ჯილდო და რამოდენიმე უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის ტიტული მიიღო.

წლების განმავლობაში ჰაბერმასი მსოფლიოში წამყვან ნეომარქსისტად ითვლებოდა. მაგრამ წლების კვალობაზე მისი შემოქმედება ვითარდებოდა და მრავალი თეორიული მიმდინარეობა შეისისხლხორცა. ჰაბერმასს თანამედროვე სამყაროს (მოდერნის) მომავლის სწამდა. სწორედ ამ აზრით წერს ის თანამედროვეობის (მოდერნის) დაუსრულებელ პროექტზე. მაშინ როდესაც მარქსი თავისი შემოქმედების ცენტრში აყენებს შრომას, ჰაბერმასს ძირითადად კომუნიკაცია მიაჩნია, რომელსაც ის უფრო ზოგად პროცესად თვლის, ვიდრე შრომას. მაშინ როდესაც მარქსი ყურადღებას ამახვილებდა თუ როგორ ამახინჯებს კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურა შრომის პროცესს, ჰაბერმასს აინტერესებს თუ როგორ ამახინჯებს თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურა კომუნიკაციას. მარქსი მომავლისაკენ, როგორც შინაარსიანი და შემოქმედებითი შრომის სამყაროსაკენ მიისწრაფოდა, ჰაბერმასი კი მომავლის, როგორც თავისუფალი და ღია კომუნიკაციების საზოგადოებისაკენ მიისწრაფის. ამგვარად მარქსისა და ჰაბერმასის თეორიებს შორის დიდი მსგავსება შეიმჩნევა. ზოგადად თუ ვიტყვით, ორივე თეორეტიკოსი – მოდერნისტია, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ეპოქაში თანამედროვეობის (მოდერნის) პროექტი (მარქსთან ადამიანის შემოქმედებითი და დამმაკმაყოფილებელი შრომა, ჰაბერმასთან კი ღია კომუნიკაცია) ჯერ არ არის დასრულებული. გარდა ამისა, ორივეს სჯეროდა, რომ მომავალში ეს პროგრამა აუცილებლად იქნება რეალიზებული.

ჰაბერმასის მოდერნიზმისადმი მიდრეკილება და მომავლის რწმენა განასხვავებს მას თანამედროვეობის ბევრი წამყვანი მოაზროვნისაგან, როგორცა, მაგალითად, ჟან ბოდრიარი და სხვა პოსტმოდერნისტებია. მაშინ როდესაც ესენი ხშირად მიდიან ნიჰილიზმამდე, ჰაბერმასს თავისი ცხოვრების (და მოდერნის) პროექტის სწამს. ამგვარადვე, როდესაც სხვა პოსტმოდერნისტები (მაგალითად, ლიოტარი), „დიდი თეორიების“ შექმნის შესაძლებლობას გამორიცხავენ, ჰაბერმასი ანვითარებს და იმის შესაძლებლობას იცავს, რაც ალბათ თანამედროვე სოციალური აზრისათვის მნიშვნელოვანი – „დიდი თეორია“ არის. პოსტმოდერნისტებთან ჭიდილში ჰაბერმასი ბევრს დებს სასწორზე. თუ გამარჯვება მათ დარჩებათ, ჰაბერმასი დიდ, მაგრამ ბოლო მოდერნისტად შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო, თუ ჰაბერმასს (და მის მომხრეებს) დარჩება გამარჯვება, მაშინ ის შეიძლება, როგორც მოდერნისტული პროექტისა და სოციალურ თეორიებში „დიდი თეორიის“ მხსნელად მივიჩნიოთ.



2. ლუმანი და ჰაბერმასი: ფუნქციონალური დიფერენციაცია და სოციალური ინტეგრაცია.

გერმანიაში ნიკლას ლუმანის გვერდით უდიდეს სოციოლოგ-თეორეტიკოსად იურგენ ჰაბერმასსაც მიიჩნევენ. ორივე მათგანი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია. იგი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ ფილოსოფიურ საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულად გამოხატავს აზრს, მაშინ როცა ლუმანი ინტერვიუებს თავისი თეორიული იდეების განმარტებისთვის იყენებდა. ჰაბერმასი მისგან განსხვავებით წლების განმავლობაში მასობრივ შეკრებებზე გამოსვლისაგან თავს იკავებს. სოციოლოგიაში მისი სახელი 1981 წელს გამოცემულ „კომუნიკაციური ქმედების თეორიას“ უკავშირდება.

ჰაბერმასი ლუმანის ოპოზიციად აცხადებს თავს. ლუმანსა და ჰაბერმასს შორის არსებული ოპოზიციურობა იმდენად დიდია, რომ დღეს იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ ეს ორი პიროვნება ოდესღაც ერთმანეთთან თანამშრომლობდა. ისინი თანანაავტორობით სტატიებსაც კი უშვებდნენ.

XX-ე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისისათვის მათგანს შორის არსებული განსხვავებები ჩამოყალიბდა: ლუმანის თეორიის მიხედვით, სოციოლოგია, როგორც ამხსნელ განმარტებად განიხილებოდა, ხოლო ჰაბერმასის თეორია სოციოლოგიას, როგორც გამოყენებით განმარტებად განიხილავდა.

ჰაბერმასის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება წარმოადგენდა და წარმოადგენს. ჰაბერმასის ინტერესები თავიდანვე დემოკრატიული, გონივრული საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ იყო მიმართული, რომელსაც მოაზროვნე და ემანსიპირებული მოქალაქეები შექმნიდნენ. დემოკრატიას ის უშუალოდ ემანსიპაციას უკავშირებდა. სტუდენტური მოძრაობების დროს, ჰაბერმასი მკაცრ ოპოზიციონერად გვევლინება და გერმანელ სოციალისტ სტუდენტთა კავშირს, როგორც ყალბ „მემარცხენე ფაშიზმად“ მოიხსენიებს. მათი დემონსტრაციები და ინსტიტუტის სხდომები, ჰაბერმასის განცხადებით რეალობისაგან საკმაოდ დაშორებული იყო. მისი მოსაზრების თანახმად, საზოგადოების ცვლილებისთვის საჭიროა „განმარტების ორგანიზაცია“. ამ პროცესში ჰაბერმასის აზრით, არ არსებობს ხელმძღვანელი, წინამძღოლი. ამ პროცესში არსებობენ მხოლოდ მონაწილეები, მეთაურის გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს უნდა შესწევდეთ უნარი, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომები, გაურკვეველი პუნქტები აღიარონ, შეიმუშაონ და შემდგომში შეცვალონ. საზოგადოების კრიტიკული წარმომადგენლები და არა მარტო მოსწავლეები ან სტუდენტები



(ძირითადად ახალგაზრდა თაობა მიეკუთვნება კრიტიკულ საზოგადოებას) ვალდებულნი არიან პოლიტიკური თეორიის მიზნები პრაქტიკაში განახორციელონ.

ჰაბერმასი, ისევე როგორც სხვა ეგრეთწოდებული ნეომარქსისტული ავტორები, ორიენტაციას კარლ მარქსის მიერ განვითარებული ისტორიული მატერიალიზმის მთავარი თეზისებიდან იღებს. მარქსზე დაყრდნობით ჰაბერმასი თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებს იკვლევდა. მისი თეზისების უკეთ გასაგებად ის კარლ მარქსის ლექსიკონზე მიუთითებს.

ნიკლას ლუმანი კი სოციოლოგიას სულ სხვა ჭრილში განიხილავს. თანამედროვე საზოგადოება, ლუმანის თანახმად, ფუნქციურად დიფერენცირებული სისტემაა, რომლის ქვესისტემებიც ერთმანეთის და საერთოდ, მთელი სისტემის მიმართ ავტონომიურობას ინარჩუნებს. ლუმანი უარყოფს სისტემური მთლიანობის შესაძლებლობას. იგი არ უყურებს სოციალურ სისტემას როგორც ინტეგრირებულ ორგანიზმს, რომელიც ნორმატიული ღირებულებებითაა “შეკრული”. ლუმანს აქცენტი ინტეგრაციიდან დიფერენციაციაზე გადააქვს. იგი ამტკიცებს, რომ ყოველი სისტემა (ან სუბსისტემა) თვითკმარი და თვითქმნადია.

ჰაბერმასი კი ცდილობს სოციალური ინტეგრაციის საფუძვლები დაძებნოს და იგი ერთიან და ინტეგრირებულ საზოგადოებად წარმოგვიდგინოს.

ჰაბერმასი საზოგადოების ანალიზში ორ ცენტრალურ ცნებას: სისტემურ ინტეგრაციას და სოციალურ ინტეგრაციას გამოყოფს. ამ ორი ინტეგრაციული ფორმის ურთიერთდამოკიდებულება კრიზისების ტიპოლოგიის დადგენის საფუძველია, ამიტომაც მათი აქ აღნიშვნა აუცილებელია. ინტეგრაცია უკავშირდება საზოგადოებრიობის მთლიან სისტემას, ის არის საზოგადოების როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის წარმონაქმნის საფუძველი. ჯერ კიდევ პარსონსი უსვამდა ხაზს იმას, რომ მხოლოდ ინტეგრირებული სისტემები წარმოადგენენ სტაბილურ სისტემებს. აქედან გამომდინარე, ინტეგრაცია ხელს უწყობს სისტემის შენარჩუნებას. ინტეგრაცია არის დეზორგანიზაციის საწინააღმდეგო სიტყვა.

ასევე ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლოქუდიც ხაზს უსვამს, რომ სოციალური ინტეგრაცია, ისევე როგორც სისტემური ინტეგრაცია შეიძლება როგორც დარეგულირდეს, ასევე კონფლიქტებით დაიტვირთოს. სოციალური ინტეგრაცია მთლიანობაში საზოგადოების წარმადგენლებს შორის ურთიერთდამოკიდებულ მოქმედებას გულისხმობს.

სისტემურ ინტეგრაციას ჰაბერმასი იგებს, როგორც პრობლემების, სირთულეების შემცირებას, რომელიც საზოგადოებრივმა სისტემამ უნდა შეძლოს, რათა საკუთარი თავი შეინარჩუნოს.



ჰაბერმასისთვის ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული შეკითხვა, სისტემის შიდა პოლიტიკური მთლიანობის რღვევის შემთხვევაში, კრიზისი გარდაუვალია- მიიჩნევს ჰაბერმასი.

თუ ეს ორი სისტემური და სოციალური ინტეგრაციები ერთდროულად მოიხდებოდა, მაშინ საქმე გვექნება სისტემის კრიზისთან.

სოციალურად ინტეგრირებულ საზოგადოებაში წარმომადგენლებს შორის არსებობს ნორმები და ფასეულობები, რომლებიც მათი ერთიანობის საფუძველია. ადამიანები ერთმანეთისაგან, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და მათი ძირითადი პრინციპებისაგან განსხვავდებიან. სოციალური ინტეგრაცია საზოგადოების მსოფლმხედველობაში, და სამართლებრივ – მორალურ სისტემებში აისახება. აქ განსხვავდება ჰაბერმასი ყველაზე მეტად ლუმანისაგან. ამის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ.

გარდა ამისა, ჰაბერმასი მიიჩნევს, რომ ლუმანი თავისი პრაგმატული თეორიით დემოკრატიული განვითარების გზას წინ ელობება. ამით მან ცხადყო, რომ ის როგორც მემარცხენე (სამოციან წლებში სტუდენტური მოძრაობის წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით ის „მწვანეების“ წინააღმდეგაც გამოდიოდა) ასევე მემარჯვენე ძალებს გაემიჯნა.

3. სიცოცხლის (ცხოვრების) სამყაროს დიფერენციაცია – დეცენტრალიზაცია და სოციალური მოქმედების ტიპები.

ი. ჰაბერმასის სოციოლოგიური კონცეფციის ამოსავალ და ცენტრალურ პუნქტს “სიცოცხლის სამყაროს” კატეგორია წარმოადგენს. იგი მას განსაზღვრავს როგორც მნიშვნელობათა არათემატიზირებულ ჰორიზონტს, რომელიც ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველს შეადგენს. გარეგანი ზემოქმედებები სწორედ ამ საფუძველს ეფარდებიან ან უპირისპირდებიან, ანუ სწორედ მასთან მიმართების შედეგად ყალიბდებიან და საზრისს იძენენ.

მნიშვნელობათა ეს ჰორიზონტი კი არ იქმნება და უნიფიცირდება ტრანსცენდენტალური ეგოს ინტენციონალური აქტიურობით, არამედ ეგო-ს წინამორბედი ცოდნის მარაგისგან შედგება, რომელიც კულტურასა და უწინარეს ყოვლისა ენაშია აკუმულირებული. ი. ჰაბერმასი იზიარებს კ. ჰუმბოლდტისა და ლ. ვინტგენშტაინის იდეას, რომ ენის სტრუქტურული შეზღუდვები და შესაძლებლობები გაგების მასშტაბებს განსაზღვრავენ. “სიცოცხლის სამყაროს” და ენას შორის არსებული ტრანსცენდენტალური რგოლი “სიცოცხლის სამყაროს” ცნობიერების ობიექტად ქცევის ნებისმიერი მცდელობისგან იცავს და აგრეთვე “ფორმალური სამყაროსგან” “სიცოცხლის სამყაროს” განცალკევების საშუალებასაც გვაძლევს.



“სიცოცხლის სამყაროს” გაშლა-განვითარება ევოლუციურ პერსპექტივაში კომუნიკაციური მოქმედების თეორიის მიზანია. სოციალური ევოლუცია კი კოგნიტიური (შემეცნებითი) უნარების განვითარებაში გამოიხატება. სამყაროს გაგების მითოსური და თანამედროვე განმარტებების შედარებისას ჰაბერმასი დაასკვნის, რომ განსხვავება მათ შორის იმ ცნებათა სისტემებს შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებას ემყარება, რომელთა მეშვეობითაც ისინი ინტერპრეტაციას უკეთებენ სამყაროს.

ამგვარად, “სიცოცხლის სამყაროს” ევოლუციას მიკუთვნების სამ შედარებით დამოუკიდებელი სამყაროს გამოყოფასთან მივყავართ. ეს სამყაროები თავად “სიცოცხლის “სიცოცხლის სამყაროსადმი” მიწერილნი არიან, მაშინ როდესაც თავად ის “წინაგაგების” საფუძველს შეადგენს. “სიცოცხლის სამყაროს” **ობიექტივიზების, შეფასების, გამოთქმის განწყობები** – ამ სამყაროებისადმი შესატყვისი ინტენციების შესაბამისად ფორმდებიან. ეს ინტენციები რეალობის სქემატიზაციის უფრო ფორმალურ წესებს (ხერხებს), და არა რეალობის როგორც ასეთის სფეროებს ასახავენ. ფაქტებისგან შედგენილ ობიექტურ სამყაროს, არა აქვს უფრო მეტი დამოკიდებულება ბუნების სამყაროსადმი, ვიდრე სოციალურ სამყაროს – კულტურის სამყაროსადმი. რეალობის ერთი და იგივე მოვლენა რეფერენციის არჩეული სქემის შესაბამისად განსხვავებულ განხილვას შეიძლება დაექვემდებაროს. ავიღოთ პიროვნებები და ნორმები, ისინი შეიძლება როგორც დაკვირვებად ფაქტებად, რომლებიც ქცევის სტრატეგიის გაანგარიშებებში გათვალისწინებულა, ისე მნიშვნელობის მქონე ღირებულებებად ჩაითვალოს, რომლებიც პატივისცემას იწვევენ.

“სიცოცხლის სამყაროს” დეცენტრალიზაციის პროცესში წარმოქმნილი რეფერენციის სამყაროები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ რეალობის აღქმის განწყობებით, არამედ რაციონალურობის კრიტერიუმებითაც განსხვავდებიან. ამ სამყაროთაგან თითოეულში რაციონალურობა განსაკუთრებულ ფორმას იღებს და განსაკუთრებული სტატუსი აქვს. ცოდნასა და მოქმედებას შორის მეტათეორიულ დონეზე კავშირის დამდგენ “სიცოცხლის სამყაროს” ევოლუციის კონცეფციას, ი. ჰაბერმასი სოციალური მოქმედების საკუთარი თეორიის შექმნასთან მიყავს. როგორც მრავალი მისი წინამორბედი, ისიც ფიქრობს, რომ სოციალურ მოქმედებას მიზანდასახული ხასიათი აქვს. მაგრამ მიზნები, რომელთა მიღწევაზეც ეს სოციალური მოქმედებები არიან ორიენტირებულნი, ჰაბერმასის აზრით, სრულებითაც არ არიან თვითნებურნი. ისინი მჭიდრო კორელაციაში არიან იმ ინტენციებთან, რომლებიც “სიცოცხლის სამყაროს” განწყობებს ასახავენ. მაგალითად, ობიექტიფიკაციის განწყობას (რეფერენციებს), რომელიც ობიექტური სამყაროს “ფაქტობრივ” ინტენციებად ფორმდება, ეგოისტური მიზნების გამოვლენასთან მივყავართ. “სიცოცხლის სამყაროს” რეფერენციის



სამყაროებთან რაციონალურობის სახეებისა და მიზნების ურთიერთკავშირი სოციალური მოქმედების იდეალური ტიპების სახით კონცეპტუალიზდება. ჰაბერმასი მ. ვებერიდან ამოდის და არც მალავს ამას, უბრალოდ იგი ვებერისეული ტიპოლოგიზაციის კრიტიკულ ხელახალ გააზრებას ეწევა. ხელახალი გააზრების აუცილებლობა დაკავშირებულია “სიცოცხლის სამყაროს” ევოლუციასთან, რომელმაც უფრო რაციონალური გახადა სოციალური მოქმედება და მისი ტიპოლოგიის შეცვლასთანაც მიგვიყვანა. თანამედროვე პირობებში, ჰაბერმასის აზრით, შეიძლება სოციალური მოქმედების ოთხი იდეალური ტიპი გამოვყოთ:

1. სტრატეგიული მოქმედება. ესაა ეგოისტური მიზნებით წარმართული მოქმედება, რომლის მიღწევისას მხედველობაში მიიღება თუნდაც ერთი სხვა ინდივიდის მოქმედების გავლენა. იგი რაციონალურია იმ ზომით, რა ზომითაც მოქმედების სუბიექტი ირჩევს “სასურველის მიღების” ყველაზე ეფექტურ საშუალებას. რაციონალურობის ამ მოდელისაგან ამოსვლისას, სტრატეგიული მოქმედების მონაწილენი სხვა მოქმედ პირებს როგორც ობიექტივირებულ საშუალებებს ან მიზნისაკენ მიმავალ გზაზე როგორც წინაღობა-დაბრკოლებს უყურებენ.

2. ნორმატიული მოქმედება. ესაა სოციალური მოქმედება, რომლის მონაწილეთა მიზანი ურთიერთხელსაყრელ და გამოსადეგ ექვექტაციათა (სოციალურ მოლოდინთა) მიღწევას, რომელსაც გაზიარებულ-საერთო ღირებულებებისა და ნორმებისადმი საკუთარი ქცევების დაქვემდებარების საშუალებით ვახორციელებთ. ეგოისტური მიზნებით წარმართული მოქმედებები სოციალური ვალდებულებებით ან კანონებით გადაილახება. ნორმატიული მოქმედების მონაწილეებმა პიროვნულ მოქმედებათა ობიექტური შედეგები ნორმატიულ განწყობებთან მათი შესაბამისობის პლანში უნდა გაითვალონ და გაითვალისწინონ. **ნორმატიული მოქმედება რაციონალურია იმდენად, რამდენადაც იგი ქცევის სოციალურად მიღებულ სტანდარტებს შეესატყვისება.** ნორმატიული მოქმედების ეტალონი ისეთი სოციალური სიტუაციაა, რომელშიც ქცევის არსებული სტანდარტები მონაწილეობისას საერთო ინტერესებს ავითარებენ.

3. დრამატურგიული მოქმედება. დრამატურგიული მოქმედების მიზანია “საკუთარი თავის წარმოდგენა”-წარდგენა ანუ საჯარო იმიჯის შექმნა. ამ ტიპის შემოტანა უმეტესად ი. გოფმანის მიერ შემუშავებული “დრამატურგიული მიდგომითაა” ინიცირებული. მაგრამ ჰაბერმასთან “როლური თამაშის” ცნება არა ქცევის სოციალურად დადგენილ ფორმებთან შეგუებას, არამედ თავისუფალ, მაგრამ რაღაცნაირი ინდივიდუალურობის შერჩევა-შენარჩუნებით თვითგამოხატვას აღნიშნავს. მოცემული ტიპის გამოყოფა იმას აჩვენებს, რომ თვით ყველაზე მარტივი სოციალური მოქმედებაც კი მუდამ მისი სუბიექტის ინდივიდუალურობითაა



შეფერადებული. სოციალური მოქმედების “დრამატურგიული” ელემენტი იმპლიციტურად ქცევის სტრატეგიული ტიპის ანალოგიურია, რომლისგანაც იგი მხოლოდ მიზნობრივი მიმართულებით განსხვავდება. ორივე მათგანის რაციონალურობა მსგავსია, ფაქტობრივად ერთი და იგივეა ფორმის მიხედვით, მაგრამ ერთმანეთისაგან შეფასების კრიტერიუმის წყალობით განსხვავდებიან. სტრატეგიული მოქმედების ეფექტურობა დანახარჯთა რაოდენობით ფასდება, მაშინ როდესაც დრამატურგიული მოქმედების ეფექტურობა მისი “გულწრფელობით” განისაზღვრება. “ცხოვრების თეატრში” როგორც ურთიერთნდობის პირობა მიღებულია, რომ როლები, რომლებსაც აქტორები ასრულებენ, მათი ხასიათის ნამდვილ ნიშნებსა თუ თვისებებს შეესატყვისებიან. ამიტომ, იმისათვის, რათა წარმოდგენა არასტრატეგიული აზრით იყოს რაციონალური, იგი აუცილებელია “გულწრფელი”, ხოლო მის მიერ გამოთქმული ზრახვები თუ ჩანაფიქრები აუტენტური-თვითმყოფადი უნდა იყოს.

4. კომუნიკაციური მოქმედება. სოციალური მოქმედების მოცემული ტიპის მიზანი მონაწილეთა მიერ განსაზღვრულ სიტუაციაში ერთობლივი რეზულტატების მისაღწევად თავისუფალი შეთანხმებაა. მოქმედების წინა ტიპების მონაწილეთა დამოკიდებულება-მიმართებები შეიძლება მათი ძალისხმევების კოორდინაციას შეიცავდნენ, მაგრამ თვით კოორდინაცია გამოთქმულ მიზანს არ წარმოადგენს. სტრატეგიულად მოქმედ პირებს, შეუძლიათ აიძულონ სხვები ხელი შეუწყონ საკუთარი მიზნების მიღწევაში, იყენებენ რა ამ დროს ძალადობას, ძალაუფლებას, ფულს და სხვა მანიპულაციებს. ნორმატიული და დრამატურგიული მოქმედებანი სტრატეგიულისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ურთიერთმოლოდინთა თუ ექვექციათა შესახებ რაღაცნაირ მდუმარე შეთანხმების არსებობას გულისხმობენ. ამიტომ პირებს, რომლებიც დრამატურგიულად ან ნორმატიულად მოქმედებენ, ამ შეთანხმებათა (მაგ: ენა) გამოყენება მოქმედებათა კოორდინაციისათვის შეუძლიათ ისე, რომ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება – თუ თანხმობის მიღწევის განზრახულობა არ გამოთქვან. ყოველივე ეს ჰაბერმასს საშუალებას აძლევს ნორმატიული და დრამატურგიული მოქმედება როგორც კომუნიკაციური მოქმედების ქვეტიპები განიხილოს. მაგრამ მკაცრად, რომ ვთქვათ, კომუნიკაციური მოქმედება შეიცავს ექსპლიციტურად გამოთქმულ ძალისხმევას, რომელიც რეფერენციის სამყაროთა მიერ წამოყენებულ რაციონალურობის ყველა კრიტერიუმთან მიმართებაში ურთიერთგაგების მიღწევაზეა მიმართული, და მაშასადამე დანარჩენ მოქმედების უფრო შეზღუდულ და ნაკლებ რეფლექსურ ტიპებს უპირისპირდება. რამდენადაც “სტაბილურობა და თანხმობა ყოველდღიურ პრაქტიკაში” გამოწვევისა, ამდენად, კომუნიკაციური მოქმედება პერმანენტულ შესაძლებლობად რჩება.



სოციალური მოქმედების საკუთარი კონცეპტის ჩამოყალიბებისას ჰაბერმასი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ როგორ უწყობენ ხელს სოციალური სიტუაციის მონაწილეთა მოქმედებების კოორდინაციას “სიცოცხლის სამყაროს” სტრუქტურების გამომთქმელი მიზნები. თუ მოქმედების მიზანი თავისი ბუნებით პიროვნულია (ეგოისტურია), მაშინ ძალისხმევათა კოორდინაცია ითვალისწინებს მხოლოდ სხვა პირთა გამოყენებას ძალადობრივი ან არაძალადობრივი საშუალებებით (სტრატეგიული მოქმედება) თუ მოქმედების მიზანია საკუთარი ქცევების შეგუება სოციალური ნორმებისადმი ან საკუთარი ინდივიდუალობის გამოთქმა, მაშინ მოქმედებათა კოორდინაცია ნორმებისა და კონვენციონალურ როლთა (ნორმატიული და დრამატურგიული მოქმედებები) შესახებ გამოთქმულ თანხმობაზეა დამოკიდებული. და ბოლოს, თუ მოქმედების მიზანია პრობლემურ საკითხებზე თანხმობის მიღწევა, მაშინ მონაწილეთა მოქმედებების კოორდინაცია მოცემულ ერთობლივ მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ წინადადების მიღება ან არ მიღებაზეა დამოკიდებული (კომუნიკაციური მოქმედება).

ამგვარად, რაციონალიზებული “სიცოცხლის სამყარო” ლინგვისტურ სტრუქტურებს იყენებს, რომლებიც რეფერენციის ობიექტურ, სოციალურ და სუბიექტურ სამყაროთა ფორმალურ დიფერენციაციას პროვოცირებას უკეთებს. ადამიანები საკუთარ თავს სამივე სამყაროს ერთდროულად მიაკუთვნებენ. მაშასადამე, თითოეული მოქმედება სინამდვილეში კომპლექსურ ხასიათს ფლობს. იგი არის რეფერენციათა სისტემა, რომელიც ობიექტური ფაქტებისგან, სოციალური ნორმებისგან და პირადი გამოცდილებისგან შედგება. მოქმედების ყოველი სიტუაცია “წინაგაგების” “საყოველთაო შესაძლებლობის ჭრილს” წარმოადგენს, რითაც მონაწილეთა უშუალო ინტერესების რელევანტურ რაიმედ” იქცევა. მოქმედება ცოდნის მიერ იმართება. მაგრამ ეს ცოდნა შეიძლება განსხვავებული იყოს. მეცნიერული ცოდნა არც ერთადერთი შესაძლებელი რამ, არც ერთადერთი სწორი და რაციონალური რამ არის. სოციალური ურთიერთქმედების მონაწილეთა გამოცდილება პრაქტიკული know-how , და არა მეცნიერული ცოდნისგან შედგება. ეს უკანასკნელი “სიცოცხლის სამყაროს” ევოლუციის გამოცდილებას თანმიმდევრულ ინფორმაციად გარდაქმნის, რომელიც პიროვნებათაშორისი და თაობათაშორისი ტრანსლაციებისათვის გამოსადეგია.

“სიცოცხლის სამყაროს” დიფერენცირებული სტრუქტურები (რომლებიც ამავე დროს ფუნქციებადაც გვევლინებიან) თავიდანვე კომპლიმენტარულნი და კულტურის (ცოდნის), საზოგადოების (ლეგიტიმური წესრიგის) და პიროვნების (ინდივიდუალური იდენტურობის) წარმოებასა და კვლავწარმოებაზე არიან მიმართულნი. რაციონალიზებისას ისინი ფორმის,



შინაარსისა და რეფლექსურობის მიხედვით იყოფიან. რეფერენციათა ობიექტური და სოციალური სტრუქტურების განცალკევება ნორმატიულ ინსტიტუტებს სამყაროზე მეტაფიზიკურ-რელიგიური შეხედულებებისაგან ათავისუფლებს. შემდეგ მათგან გამოიყოფა სუბიექტური სტრუქტურა, რაც ინდივიდს მეტ თავისუფლებას აძლევს, რომელიც აგრეთვე ტრადიციის, პიროვნებათშორის ურთიერთობებში საკუთარი წარმომადგენლობის და თვითრეალიზაციის შესახებ რეფლექსიის შესაძლებლობას მოიცავს. ამავე დროს ღირებულებების სფერო, ჭეშმარიტების კრიტერიუმი და არგუმენტაციების პროცესები კულტურის კონტექსტისაგან გამოცალკავდებიან. პროცედურული სამართლის ფორმალური პრინციპები მოქმედების უშუალო კონტექსტისაგან იმიჯნებიან, კოგნიტური სტრუქტურები, კომპეტენციები და განწყობები პირადი გამოცდილებისაგან აბსტრაგირდებიან. და ბოლოს პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტისადმი უფრო რეფლექსური მიდგომების მოთხოვნილება სპეციალიზებულ მეცნიერებათა დისციპლინების გამოვლენას, პოლიტიკის დისკურსიული ფორმირებისას დემოკრატიული ფორმებითა და განათლების უნივერსალიზაციით ავტორიტარულ ინსტიტუტთა შეცვლას დიდ სტიმულს აძლევს.

“სიცოცხლის სამყაროს” რაციონალიზაციას მხოლოდ დადებითი შედეგები არ აქვს. სტრუქტურათა დიფერენციაცია სოციალური ურთიერთობების დამამახინჯებელ ილუზიებს ზრდის. ყოველდღიური, ჩვეულებრივი ენა ცოდნის ნათელი და საიმედო შუამავლის თვისებებით აღიჭურვება, კომუნიკაციურ ურთიერთქმედებას განსაკუთრებული ურთიერთსარგებლიანობა მიეწერება. კომუნიკაციების სახით არსებული სოციალური პათოლოგიების გამოსავლენად სოციოლოგმა პირველ რიგში ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემათა გენეზისი და განვითარება უნდა იკვლიოს, რომლებიც გამოეყოფიან რა “სიცოცხლის სამყაროს” უკვე გარედან იწყებენ მის მართვას.

4. ცოდნა და ინტერესები. უთანხმოება მარქსთან.

ცოდნა ობიექტურია, ინტერესები კი უფრო სუბიექტური. ჰაბერმასი განასხვავებს ცოდნის 3 სისტემას და მათ შესაბამის ინტერესებს. ეს ინტერესები, რომლებიც ძვეს ცოდნის თითოეული სისტემის საფუძველში, ჩვეულებრივ უცნობია ადამიანებისათვის და ამიტომ თეორეტიკოსების ამოცანაა ამ ინტერესების სააშკარაოზე გამოტანა.

1.1. ცოდნის პირველი ტიპია – ანალიტიკური მეცნიერებები, ანუ კლასიკური პოზიტივისტური მეცნიერული სისტემები. ამ სისტემების საფუძველში მდებარე ინტერესი ტექნიკური წინასწარმეტყველება და



კონტროლია, რომელიც ბუნებრივი გარემოს, სხვა საზოგადოებების ან საზოგადოებაში ადამიანის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული. ანალიტიკური მეცნიერებები ადვილად ექვემდებარებიან მზარდ დესპოტურ კონტროლს.

1.2. ცოდნის სისტემის მეორე ტიპია – **ჰუმანიტარული ცოდნა** და მისი შესაბამისი ინტერესი სამყაროს გაგებაში მდგომარეობს. ცოდნის ეს სისტემა ამოდის ზოგადი იდეიდან, რომლის თანახმადაც წარსულის გაგება გვეხმარება გავიგოთ თანამედროვე ხდომილებები. ცოდნის ეს ტიპი პრაქტიკულ ინტერესს ავლენს ურთიერთგაგებისა და საკუთარი თავის გაგებისადმი. იგი არ არის არც დამთრგუნველი და არც განმანთავისუფლებელი.

1.3. ცოდნის მესამე ტიპია – **კრიტიკული ცოდნა**. ამ ტიპის ცოდნის საფუძველში მდებარე ინტერესი ადამიანის გათავისუფლებასთანაა დაკავშირებული. ამ ტიპის მცოდნე მოაზროვნეები იმედებს ამყარებენ, რომ კრიტიკული ცოდნა მასების თვითცნობიერებას გააღვიძებს და ისეთ სოციალურ მოძრაობასთან მიგვიყვანს, რომლის შედეგად სასურველი გათავისუფლება გახდება.

უთანხმოება მარქსთან.

ჰაბერმასი მიზნად ისახავს ისეთი თეორიული პროგრამის შემუშავებას, რომელიც ისტორიული მატერიალიზმის რეკონსტრუირებას მოახდენს. საწყის წერტილად ჰაბერმასი ძირითად ამოსავალ დებულებებს (ადამიანური პოტენციალი, სახეობის არსება, "გრძნობადი ადამიანური აქტიურობა") იღებს, მაგრამ ამტკიცებს, რომ მარქსმა ვერ შეძლო ანალიზის თვალსაზრისით განესხვავებინა ადამიანის არსების ორი დამოუკიდებელი კომპონენტი: შრომა (ანუ მიზანდასახული მოქმედება) და სოციალური (ანუ სიმბოლური) ურთიერთქმედება (ანუ კომუნიკაციური მოქმედება). ამ უკანასკნელს მარქსი იგნორირებას უკეთებდა და იგი შრომამდე დაყავდა, მაშინ, როდესაც ჰაბერმასი ამოსავალ წერტილად იღებს შრომასა და ურთიერთქმედებას შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებას. შესაბამისად იგი ძირითად ცნებებად: მიზანრაციონალურ მოქმედებას (შრომა) და კომუნიკაციურ მოქმედებას (ურთიერთქმედება) იყენებს. მიზანრაციონალური მოქმედების შესახებ ბჭობისას იგი ერთმანეთისაგან ინსტრუმენტალურ და სტრატეგიულ მოქმედებას განასხვავებს. ორივე პირადი გამორჩენისაკენ-მოგებისადმი გათვლილ გაანგარიშებულ მისწრაფებას გულისხმობს. ინსტრუმენტალური მოქმედება გულისხმობს ერთი მოქმედი პირის მონაწილეობას, რომელიც რაციონალურად ითვლის და ანგარიშობს დასახული მიზნის მიღწევის საუკეთესო წესებსა და



საშუალებებს, ხერხებს. სტრატეგიული მოქმედებით კი გაიგება მიზანრაციონალური ქმედების ორი ან მეტი ინდივიდების კოორდინაცია, რომელიც მიზნის მიღწევაზეა მიმართული. როგორც ინსტრუმენტური ისე სტრატეგიული მოქმედების მიზანია ინსტრუმენტალური ოსტატობა და დახელოვნება. ყველაზე საინტერესოა "კომუნიკაციური" მოქმედება, რომელშიც სუბიექტთა მოქმედება კოორდინირდება არა წარმოების ეგოცენტრული გათვლა გაანგარიშებით, არამედ გაგების მეშვეობით. კომუნიკაციურ მოქმედებაში მისი მონაწილეები თავდაპირველად არ არიან ორიენტირებულნი პირად, საკუთარ წარმატებებზე, ისინი თავიანთ მიზნებს მისდევენ იმ პირობით, რომ შეძლებენ თავიანთი მოქმედებების გეგმის შეთანხმებას სიტუაციის საერთო განსზღვრების საფუძველზე.

თუ მიზანრაციონალური მოქმედების ამოცანა – დასახული მიზნის მიღწევაა, მაშინ კომუნიკაციური მოქმედება მიმართულია ურთიერთობის პროცესში გაგების მიღწევაზე (კომუნიკაციურ გაგებაზე). კომუნიკაციურ მოქმედებაში არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორცაა მეტყველება და ენა. მაგრამ მსგავსი მოქმედება უნდა გავიგოთ უფრო ფართოდ, ვიდრე უბრალოდ რაღაც ისეთი, რომელიც თავის თავში შეიცავს "მეტყველებით აქტებს ან არავერბალური გამოთქმების ექვივალენტურ აქტებს". ჰაბერმასის მარქსისაგან ძირეული განსხვავება იმის დასაბუთებაშია, რომ სწორედ კომუნიკაციური მოქმედება და არა მიზანრაციონალური მოქმედება (შრომა არის უნიკალური და ყველაზე არსებითი მოვლენა, რომელიც ადამიანისთვისა დამახასიათებელი). სწორედ კომუნიკაციური მოქმედება (და არა შრომა) – არის მთელი სოციოკულტურული ცხოვრების, ასევე ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძველი. თუ მარქსი ყურადღებას შრომაზე ამახვილებდა, მაშინ ჰაბერმასი სათავეში კომუნიკაციას აყენებს.

მარქსი არა მხოლოდ შრომაზე აკეთებდა აქცენტს, არამედ თავისუფალ და შემოქმედებით შრომას (სახეობის არსებას) განიხილავდა საკუთარი კრიტიკული ანალიზის ამოსავალ მიმართებად სხვადასხვა ეპოქაში, განსაკუთრებით კი კაპიტალიზმის ეპოქაში. ჰაბერმასის ამოსავალი კი არის დაუმახინჯებელი კომუნიკაცია იძულებისა და ძალადობის გარეშე. ამ ხაზის დაცვისას ჰაბერმასს შესაძლებლობა აქვს კრიტიკულად გაანალიზოს დამახინჯებული კომუნიკაცია. მას აინტერესებს ის სოციალური სტრუქტურები, რომლებიც კომუნიკაციას ამახინჯებენ. მარქსიც სწორედ ასე აანალიზებდა შრომის დამახინჯების სტრუქტურულ წყაროებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებულ პოზიციებს იცავენ, მაინც აქვთ ეს ამოსავალი ხაზები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევთ თავიდან აიცილონ რელატივიზმი და იმსჯელონ სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებზე. ჰაბერმასი აკრიტიკებს ვებერს, თავის წინამორბედებს – კრიტიკული სკოლის



წარმომადგენლებს, ასეთი ამოსავალი ხაზის უქონლობისა და რელატივიზმში ჩავარდნის გამო.

არსებობს კიდევ ერთი პარალელი ჰაბერმასა და მარქსს შორის: ორივესათვის ამოსავალი ხაზები წარმომადგენენ არა მხოლოდ ანალიტიკურ ამოსავალ წერტილებს, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ მიზნებსაც. ეს ნიშნავს რომ, თუ მარქსის მიზანი იყო კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც პირველად წარმოიქმნებოდა დაუმახინჯებელი შრომა (სახეობის არსება), მაშინ ჰაბერმასის პოლიტიკური მიზანია – დაუმახინჯებელი კომუნიკაციების (კომუნიკაციური მოქმედებების) საზოგადოება. თუ უშუალო მიზნების შესახებ ვილაპარაკებთ, მაშინ მარქსი ცდილობდა მოეხსნა ბარიერები თავისუფალი შრომის გზაზე. ჰაბერმასი კი დაინტერესებულია აღმოფხვრას დაბრკოლებები თავისუფალი კომუნიკაციების მიღწევის გზაზე. როგორც ფსიქოანალიზი ეხმარება ინდივიდს დაბრკოლებების გადალახვაში, ისევე კრიტიკული თეორიაც – ოღონდ სისტემური თვითმოტყუების ახსნისა და გაშუქების საფუძველში მდებარე არგუმენტაციის თერაპიული კრიტიკის მეშვეობით ცდილობს დაეხმაროს ყველა ადამიანს სოციალური ბარიერების გადალახვაში, რათა მიაღწიონ და შეძლონ დაუმახინჯებელი ურთიერთობების გაბმა.

ჰაბერმასის მიხედვით იდეალური, მომავალი საზოგადოების საფუძველი თანამედროვე მსოფლიოში არსებობს. სრულყოფილი კომუნიკაციის ელემენტები შეიძლება აღმოვაჩინოთ თანამედროვეობის ყველა კომუნიკაციურ აქტში.

5. რაციონალიზაცია, კომუნიკაცია, დისკურსი

დაუმახინჯებელი კომუნიკაციის საკითხებს ჰაბერმასის შემოქმედებაში ცენტრალურ – რაციონალიზაციის პრობლემასთან მივყავართ. აქ იგი ვებერის გავლენასაც განიცდის. თუ ადრე ძირითადი პათოსი მიმართული იყო მიზანრაციონალური მოქმედების რაციონალიზაციაზე, რომელმაც ჰაბერმასის აზრით საწარმოო ძალების ზრდასთან მიგვიყვანა, მაგრამ რაციონალიზაციის პრობლემის გადაჭრა არა მიზანრაციონალური მოქმედების რაციონალიზაციის – არამედ კომუნიკაციური მოქმედების რაციონალიზაციაშია. სწორედ კომუნიკაციური მოქმედების რაციონალიზაციას მივყავართ კომუნიკაციასთან, რომელიც თავისუფალია ბატონობისაგან, ნებაყოფლობითი და ღიაა. მოცემულ შემთხვევაში რაციონალიზაცია გულისხმობს გათავისუფლებას ანუ "ურთიერთობების შემზღუდავ ბარიერთა" მოხსნას. ეს კი დაკავშირებულია ლეგიტიმაციასა და იდეოლოგიის შესახებ არსებულ მოსაზრებებთან. საქმე ისაა, რომ ისინი არიან დამახინჯებული კომუნიკაციების სწორედ ის ორი ძირითადი მიზეზი,



რომლებიც უნდა აღმოიფხვრას თუ ჩვენ ვესწრაფით ნებაყოფლობით და ღია საზოგადოებას.

სოციალური ნორმების დონეზე ასეთი რაციონალიზაცია მოასწავებს ნორმატიული რეპრესიულობისა და სიმყარის დაცემას, რასაც თავის მხრივ მივყავართ ინდივიდუალური მოქნილობისა და რეფლექსურობის ზრდასთან. ახალი, შემაკავებელი ან სავსებით არაშემაკავებელი ნორმატიული სისტემის განვითარება შეადგენს ჰაბერმასისეული სოციალური თეორიის ევოლუციის თეორიის არსს. ახალი, მწარმოებლური სისტემის ნაცვლად, რაციონალიზაციას ჰაბერმასის მიხედვით მივყევართ ახალ, ნაკლებად დამახინჯებულ ნორმალურ სისტემასთან. ჰაბერმასის მიხედვით ევოლუციის საბოლოო პუნქტია რაციონალური საზოგადოება. მოცემულ შემთხვევაში რაციონალურობა კომუნიკაციის დამამახინჯებელი ბარიერების აღმოფხვრას ნიშნავს, უფრო ზუსტად ეს ნიშნავს კომუნიკაციურ სისტემას, რომელშიც იდეების წარმოება და კომუნიკაციისაგან დაცვა ღია ხდება. სისტემა, რომელიც არგუმენტაციის პასუხთა შედეგად წარმოიქმნება ნებაყოფლობითი თანხმობაა. ეს რომ უფრო უკეთ გავიგოთ, აუცილებელია ვიცოდეთ კომუნიკაციური თეორიის კიდევ რამდენიმე დეტალი.

ჰაბერმასი ერთმანეთისაგან წინასწარ განხილულ კომუნიკაციურ მოქმედებას და დისკურსს განასხვავებს. თუ კომუნიკაციურ მოქმედებას-საქმიანობას ადგილი აქვს და ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინ დისკურსი, ესაა ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც არ არის დაკავშირებული გამოცდილების და საქმიანობის კონტექსტთან და რომლის სტრუქტურაც გვარწმუნებს. მტკიცებულებათა, რეკომენდაციათა ან გაფრთხილებათა დასაბუთებადობა წარმოადგენს დისკურსის განსაკუთრებულ საგნებს; მონაწილეები, თემები და აქტიურობის ხარისხი არ იზღუდება, იმ მომენტების გარდა, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ განსახილველ მტკიცებულებათა დასაბუთებადობის შემოწმებასთან. "არ არსებობს უკეთესი ძალა ვიდრე დასაბუთებული არგუმენტი. ნებისმიერი სხვა მოტივი, გარდა ჭეშმარიტებამდე ერთად მისვლის სურვილისა _ გამოირიცხება".

დისკურსის თეორიული სამყარო, რომლის საფუძველში ასევე დევს კომუნიკაციურ მოქმედებათა ფარული სამყარო, არის იდეალური "სამეტყველო სიტუაცია", რომელშიც ძალა არ წყვეტს თუ რომელი არგუმენტი აღწევს წარმატებას, იმარჯვებს საუკეთესო-უკეთესი არგუმენტი. არგუმენტაციისა და დასაბუთებულობის ხარისხი განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა ჩაითვალოს დასაბუთებულად, ან ჭეშმარიტად. არგუმენტები, რომლებიც წარმოიქმნიებიან მსგავსი დისკუსიების საფუძველზე (და რომლებსაც მონაწილენი ეთანხმებიან) _ ჭეშმარიტია. ამგვარად, ჰაბერმასი იზიარებს ჭეშმარიტების საყოველთაოდ მიღებულ თეორიას. ეს ჭეშმარიტება



კომუნიკაციის ნაწილია და მისი სრული გამოთქმა ჰაბერმასის ევოლუციური თეორიის მიზანს წარმოადგენს. ჭეშმარიტების იდეა, საბოლოო ჯამში მიუთითებს ყველა დამამახინჯებელი გავლენებისგან თავისუფალი ურთიერთობის ფორმაზე. "კარგი და სამართლიანი ცხოვრება", რომელიც კრიტიკული თეორიის მიზნად იქცა და ჭეშმარიტი წარმოდგენებიც მიეკუთვნება, პროგნოზირდება ყოველ სამეტყველო აქტში. თანხმობა წარმოიქმნება თეორიულად დისკურსში (და თეორიამდე კომუნიკაციურ მოქმედებაში), როდესაც ურთიერთმოქმედ პირთა მიერ განსახილველად მიიღება და აღიარებულია დასაბუთებულობის 4 ტიპი:

1. მოსაუბრის დიქცია გასაგებ და გონიერ რამედ ითვლება.
2. მოსაუბრეებისათვის შეთავაზებული მტკიცებულებები ჭეშმარიტია, ანუ მოსაუბრე საიმედო ცოდნას გვთავაზობს.
3. მოსაუბრე მართალია, გულწრფელია, წინადადებების შეთავაზებისას მოსაუბრე საიმედოა.
4. მოსაუბრეს შეუძლია სამართლიანად და მტკიცედ წამოაყენოს მსგავსი მტკიცებულებები.

მოსაუბრეებს (ქალს ან კაცს) ამისათვის ნორმატიული ბაზა აქვთ. თანხმობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც დასაბუთებულობის ყველა ეს მტკიცებულება არსებობს და მიღებულია დისკურსის ყველა მონაწილის მიერ, იგი ირღვევა როდესაც ერთი ან მეტი ეჭვის ქვეშ დგება. თანამედროვე მსოფლიოში არსებობენ ძალები, რომლებიც ამახინჯებენ ამ პროცესებს, გვაშორებენ თანხმობის წარმოშობას, რომლებიც გადალახული უნდა იქნან, რათა ჰაბერმასისეული იდეალური საზოგადოება მივიღოთ.

6. ცხოვრების (სიცოცხლის) სამყაროს კოლონიზაცია.

ეს საკითხი განხილული უნდა იქნეს მოქმედებისა და სტრუქტურის ჩარჩოებში. ჰაბერმასი მუშაობს "პარადიგმების შერწყმაზე" და აყალიბებს სტრუქტურისადმი თავის მიდგომას, იმით, რომ მოქმედების თეორიიდან და სისტემების თეორიიდან ნასესხებ იდეებს, იგი განიხილავს მაშინ, როდესაც იგი ბჭობს ცხოვრების (სიცოცხლის) სამყაროზე. სტრუქტურას კი ძირითადად ანალიზებს სოციალური სისტემის განხილვისას, რომელიც წარმოადგენს ძალას, რაც ცხოვრების სამყაროს "კოლონიზაციას" ეწევა. რას გულისხმობს ჰაბერმასი "ცხოვრების სამყაროს". "სისტემის" და "კოლონიზაციის" ცნებების ქვეშ? სანამ ცნებების ანალიზზე გადავიდოდეთ, უნდა ვთქვათ, რომ ჰაბერმასის განაზრების ძირითად საგნად მაინც რჩება კომუნიკაციური მოქმედება თავისუფალი და ღია კომუნიკაცია, როგორც მისი თეორიის, ისე მისი პოლიტიკური მიზნის ძირითადი ხაზი. გარდა ამისა იგი მეთოდოლოგიურ ფუნქციასაც ასრულებს, რომელიც საშუალებას



გვამღევს მოდელისაგან გადახრები გავაანალიზოთ. სიცოცხლის სამყაროს კოლონიზაციაში მას ყველაზე მეტად თავისუფალ კომუნიკაციაზე ამ პროცესის არაკეთილსასურველი ზემოქმედება აინტერესებს.

ჰაბერმასი ასევე არ კარგავს ინტერესს რაციონალიზაციის პროცესზე, განსაკუთრებით ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია და სისტემის რაციონალიზაცია და მათ შორის არსებული განსხვავებების გავლენა სისტემის მიერ ცხოვრების სამყაროს კოლონიზებაზე. ვებერის ტერმინებით: სისტემა არის ფორმალური რაციონალურობის, მაშინ, როდესაც ცხოვრების სამყარო სუბსტანციური რაციონალურობის სფეროა.

მაშასადამე, ცხოვრების კოლონიზაცია ნიშნავს ვებერისეული თეზისის განმეორებას, რომ თანამედროვე სამყაროში ფორმალური რაციონალობა სუბსტანციურ რაციონალობაზე იმარჯვებს და ბატონობას იმ სფეროებში იწყებს, რომლებიც ადრე სუბსტანციური რაციონალურობით განისაზღვრებოდნენ. ამგვარად, ჰაბერმასი მისი მოძღვრების მარქსისეულ და ვებერისეულ ორიენტირებს მაინც ინარჩუნებს.

ცხოვრების სამყარო ესაა ხედვა შიგნიდან. საზოგადოება მიიწვდომება მოქმედი სუბიექტის პოზიციიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს მხოლოდ ერთი საზოგადოება, ცხოვრების სამყარო და სისტემა – მისი განხილვის მხოლოდ განსხვავებული ხერხებია.

ჰაბერმასი ცხოვრების სამყაროსა და კომუნიკაციური მოქმედების ცნებებს ურთიერთშემავსებელ – დამატებით ცნებებად თვლის. უფრო კონკრეტულად, კომუნიკაციური მოქმედება შეიძლება როგორც სიცოცხლის სამყაროს ჩარჩოებში მიმდინარე ხდომილებად განვიხილოთ, : "ცხოვრების სამყარო წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ტრანსცენდენტულ ადგილს, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მოსაუბრე და მსმენელი, სადაც ერთმანეთს უყენებენ პრეტენზიებს, რომ სწორედ მათი გამოთქმები შეესატყვისებია სამყაროს... და სადაც მათ ძალუბთ გააკრიტიკონ და განამტკიცონ დასაბუთებულობის ეს პრეტენზიები, მოაწესრიგონ თავიანთი უთანხმოებები და შეთანხმებამდე მივიდნენ".

ცხოვრების სამყარო კომუნიკაციური მოქმედების გზით გაგების მიღწევის პროცესთა კონტექსტის მწარმოებელ ფონს წარმოადგენს. იგი ურთიერთგაგების თაობაზე გამოთქმულ ვარაუდთა ფართო დიაპაზონს მოიცავს, რომლებიც უნდა არსებობდნენ და ორივეს მხრიდან უნდა გაიგებოდნენ, რათა კომუნიკაცია შესაძლებელი გახდეს.

ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია, ჰაბერმასის აზრით, ნიშნავს მზარდ რაციონალურ კომუნიკაციას ცხოვრების სამყაროში. იგი ფიქრობს, რომ რაც უფრო რაციონალური ხდება ცხოვრების სამყარო, მით უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ ურთიერთქმედების რეგულირება მოხდება



რაციონალურად მოტივირებული ურთიერთგაგებით. ასეთი გაგება, ანუ თანხმობის მიღწევის რაციონალური მეთოდი, საბოლოო ჯამში, უკეთესი არგუმენტის ძალაუფლებასა და ძლიერებაზეა დაფუძნებული.

ჰაბერმასის აზრით, ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია მისი სხვადასხვა ელემენტების თანდათანობით დიფერენციაციას გულისხმობს. ცხოვრების სამყარო შედგება: კულტურის, საზოგადოებისა და პიროვნებისაგან (პარსონსის გავლენა). თითოეული ელემენტი კულტურისა და მოქმედებაზე მისი გავლენის, სოციალური ურთიერთობების (საზოგადოების შესახებ) შესაბამისი ნიმუშების და იმაზე, თუ როგორია ადამიანები (პიროვნების შესახებ) და როგორ უნდა ეჭიროთ თავი, ინტერპრეტაციის მოდელბთან, ანუ ფონურ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული. კომუნიკაციურ მოქმედებაში მონაწილეობა და გაგების მიღწევა თითოეული ნაჩვენები პოზიციების თვალსაზრისით ცხოვრების სამყაროს კვლავწარმოებას, კულტურის განმტკიცების, საზოგადოების ინტეგრაციის და პიროვნების ფორმირების გზითა და მეოხებით ხელს უწყობს. ეს ელემენტები არქაულ საზოგადოებებში მჭიდროდ არიან გადახლართულნი. ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია "კულტურას, საზოგადოებას და პიროვნებას შორის მზარდ დიფერენციაციას გულისხმობს".

7. “სისტემა” და “სიცოცხლის სამყარო”

“სიცოცხლის სამყაროს” კატეგორია სოციალური სინამდვილის მხოლოდ ერთ ასპექტს აფიქსირებს. იგი მოქმედების, უშუალო ურთიერთქმედების, პრაქტიკული გამოცდილების სფეროთა კონცეპტუალიზაციას ემსახურება. სოციუმის სუბიექტური მხარე იმის სადემონსტრაციოდ გამოიყენება თუ როგორ იწარმოება და კვლავწარმოება სოციალური სინამდვილე სუბიექტის მიზანდახული, ინტენციონალური, გაცნობიერებული საქმიანობის მიმდინარეობისას. მაგრამ სოციალურ სინამდვილეს აქვს კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც “სისტემის” ცნებით აღინიშნება. “სიცოცხლის სამყაროს” და “სისტემის” ცნებათა შორის განსხვავებები ჰაბერმასს ესაჭიროება ფორმალურად, რათა გამიჯნოს ერთმანეთისაგან სოციალური კვლავწარმოების (მატერიალურისა და სიმბოლურის) სფეროები, რომლებიც თავის მხრივ ინტეგრაციის განსხვავებულ ტიპებს: სისტემურსა და სოციალურს აღნიშნავენ, და რომლებიც მოქმედების ანალიტიკურად განსხვავებულ კონტექსტებში არიან ჩართულნი (სტრატეგიულსა და კომუნიკაციურში).

სისტემა აერთიანებს ცალ - ცალკე არსებულ მოქმედებებს გარე სამყაროსადმი ადაპტაციის მიზანთა შესატყვისად, არეგულირებს



სტრატეგიული მოქმედების გაუთვალისწინებელ თუ განუზრახველ შედეგებს თავისუფალი ნების ფარგლების შემზღვეველ საბაზრო და ბიუროკრატიულ მექანიზმთა დახმარებით.

“სიცოცხლის სამყარო” კი მიმართულია ინდივიდუალური და სოციალური იდენტურობის შენარჩუნებასა და დაცვაზე, ორგანიზებას უკეთებს რა მოქმედებას მიღებულ დირექტულებათა საფუძველზე და ადგენს რა კონკრეტულ სიტუაციებში თანხმობის შესაძლებლობებს. “ორი გამოთქმა – “სოციალური ინტეგრაცია” და ”სისტემური ინტეგრაცია” სათავეს განსხვავებული თეორიული ტრადიციებისგან იღებენ. ჩვენ ვლავარაკობთ სოციალური ინტეგრაციის შესახებ იმ ინსტიტუტებთან მიმართებაში, რომლებშიც მოლაპარაკე და მოქმედი სუბიექტები სოციალურ ურთიერთკავშირებს ადგენენ. სოციალური სისტემები, ესენი იგივე სასიცოცხლო სამყაროებია, რომლებიც სიმბოლურად არიან სტრუქტურირებულნი. სისტემური ინტეგრაციის შესახებ კი ჩვენ ვლავარაკობთ მხოლოდ თვითრეგულირებადი სისტემის სპეციფიკურად მართვადი გამოვლინებების თვალსაზრისით. სოციალური სისტემები აქ განიხილებიან მათი საკუთარი საქდვრების დაცვის და მუდმივად ცვლადი გარემოს სირთულის გადალახვის გზით საკუთარი არსებობის გაგრძელების შესაძლებლობის თვალსაზრისით.”

ამგვარად, ჩვენს წინაშეა არა ორი ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნული სფეროები, რომელთა შორის ნათელი საზღვრის გატარება შესაძლებელია და შემდეგში კი ბჭობა იქნება შესაძლებელი უკვე მათი ურთიერთქმედების ტერმინებში. საზღვარი სისტემასა და სიცოცხლის სამყაროს შორის მოძრავი და გამჭვირვალეა. (სისტემა ესაა ისეთი ერთობლიობა ელემენტებისა, რომელსაც ნაკლებ მკვეთრი, დიფუზიური საზღვარი აქვს). სისტემა წარმოიშობა სიცოცხლის სამყაროს შიგნით როგორც მოქმედების გაუთვალისწინებელი-გულუზრახი შედეგი და მასთან დაკავშირებული რჩება ნორმატიული აზრით. უფრო მეტიც “სისტემაც” და “სიცოცხლის სამყაროც” გვევლინებიან როგორც მოქმედების ორი: ლოგიკურად და ანალიტიკურად განსხვავებული ფუნქციის სახით, რომლებიც სოციალურ სინამდვილეში ერთმანეთს გადაკვეთენ. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ისინი სოციალური სინამდვილის განხილვის ორ პერსპექტივას წარმოადგენენ. “მე უპირატესობას ვანიჭებ – წერს ი. ჰაბერმასი – “სიცოცხლის სამყაროს” ცნების, როგორც “კომუნიკაციური მოქმედების” ცნების ურთიერთდამატების შემოტანას, როგორც ისეთი გარემოსი, რომლის მეშვეობითაც სიცოცხლის სამყაროს სიმბოლური სტრუქტურები კვლავწარმოებენ საკუთარ თავს. ამავე დროს, ინსტრუმენტალური მოქმედებები, წარმოადგენენ რა ურთიერთქმედებებს ობიექტურ სამყაროში, გვევლინებიან სიცოცხლის სამყაროს მატერიალური სუბსტრატის



კვლავმწარმოებელ გარემოდ, რომლის მეშვეობითაც სოცოცხლის სამყარო გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერთგაცვლის პროცესს ავითარებს გარე დამკვირვებლის თვალსაზრისით, რომელიც აობიექტივირებს სიციოცხლის სამყაროს. “მატერიალური გაცვლის ეს პროცესი” შეიძლება გაანალიზდეს როგორც ფუნქციონალური ურთიერთკავშირები და თვითრეგულირებადი სისტემები.”

ამიტომ “სიციოცხლის სამყაროს” და “სისტემის” დამოკიდებულება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დიალექტიკური პროცესი, რომელშიც სიციოცხლის სამყარო წარმოადგენს რა მოძრაობისა და წინააღმდეგობის წყაროს, გააუცხოებს ნაწილობრივ თავის თავს გარე სამყაროში, რითაც დამოკიდებული აღმოჩნდება სოციალური სტრუქტურებზე და იძულებული შეიქმნება დაექვემდებაროს და შეეგუოს მას. მაგრამ მას ასევე ძალუძს დაუპირისპირდეს “სისტემის” მხრიდან მომდინარე “რეპრესიებს” და “კოლონიზაციებს”. მას უნარი შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს სისტემას, გაამწვავოს სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობები და მიგვიყვანოს სოციალური სინამდვილის ცვლილებასთან. “გაუცხოება-მოხსნის” დიალექტიკური პროცესი საფუძვლად ედება “სიციოცხლის სამყაროს” შინაგანი დიფერენციაციისა და რაციონალიზაციის პროცესს, რითაც სოციალური ევოლუციის განუმეორებელ და უნიკალურ სარჩულს ქმნის. ჰაბერმასის აზრით, “სისტემისა” და “სიციოცხლის სამყაროს” ურთიერთდამოკიდებულებების დიალექტიკა კარდინალურად განსხვავდება მათი ურთიერთდამოკიდებულებების იმ აღწერებისაგან, რომელსაც გვთავაზობენ როგორც სისტემური მიდგომა სოციოლოგიაში (დაწყებული ტ. პარსონსისაგან და დამთავრებული ნ. ლუმანის ჩათვლით), ისე ჰერმენევტიკული ფილოსოფია. ზემოთ ნახსენები ორივე ტრადიცია მხოლოდ განხილვის განსხვავებულ პერსპექტივებს წარმოადგენენ, რომლებიც “სისტემისა” და “სიციოცხლის სამყაროს” განსხვავებებისაგან გამომდინარეობს. პირველი, სოციალურ სინამდვილეს “გარეგანი დამკვირვებლის” თვალსაზრისით განიხილავს, რომელიც სოციალური ქცევის კონცეპტუალიზაციას “გაუთვალისწინებელი თუ გულუზრახი შედეგების” ცნებაში ახდენს და იძულებულია “სისტემისა” და “სიციოცხლის სამყაროს” ურთიერთქმედებებისა და ურთიერთდამოკიდებულებების ადაპტაციურ-შემგუებლური ასპექტი გაამართლოს. მეორე კი სოციალური მოქმედების “აგენტისაგან” ამოდის, რომელიც ჩართულია საერთოდ-საზოგადოდ მიღებულ მნიშვნელობათა და ნორმათა კომუნიკაციურ სისტემაში და ამიტომ მოქმედების სუბიექტს კონსენსუსის მიღწევის იმანენტური მისწრაფებით აღჭურავს-აიარაღებს.

მართალია, მეთოდოლოგიური განსხვავება საკმარისი არაა ინტეგრაციის სფეროთა ლოგიკური და ონტოლოგიური გამიჯვნისათვის და მით უფრო



ნაკლებ საფუძველს გვაძლევს მათი შეპირისპირებითი ანალიზისათვის. “სისტემის” და “სიცოცხლის სამყაროს” დიფერენციაცია ჰაბერმასთან მიმართებაშია ყველა საზოგადოების მიერ განხორციელებულ ინტეგრაციული ფუნქციების არა მხოლოდ ლოგიკურ დაყოფასთან, არამედ სოციალური სინამდვილის განსაზღვრული მდგომარეობის ევოლუციურ მიღწევასთანაც – მოქმედების სხვადასხვა ტიპების შესაბამისად ამ ფუნქციების ონტოლოგიურ განაწილებასთან, რომლის შესაძლებლობა თავიდანვე დაფუძნებულია “სიცოცხლის სამყაროს” რაციონალიზაციაზე ამგვარად, თუ ცხოვრების სამყარო საზოგადოების შესახებ მოქმედი სუბიექტების თვალსაზრისს წარმოადგენს, მაშინ სისტემა გარეგან ხედვას გულისხმობს, რომელიც საზოგადოებას გარედან რომელიღაც დამკვირვებლის პოზიციიდან განიხილავს .

სისტემის ანალიზისას, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მოქმედებათა ურთიერთკავშირზე, აგრეთვე მოქმედებათა ფუნქციონალურ მნიშვნელობაზე და სისტემის შენარჩუნებაში მათ როლზე. ცხოვრების სამყაროს (კულტურა, საზოგადოება, პიროვნება) თითოეულ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს გააჩნია და აქვს სისტემის შესაბამისი ელემენტები: კულტურული კვლავწარმოება, სოციალური ინტეგრაცია და პიროვნული ფორმირება ხდება და მიმდინარეობს სისტემის დონეზე.

სისტემას ფესვები ცხოვრების სამყაროში აქვს გადგმული, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი თავად იმუშავებს თავის საკუთარ სტრუქტურულ მახასიათებლებს, ასეთი სტრუქტურების რიცხვშია: ოჯახი, მართლმსაჯულება, სახელმწიფო, ეკონომიკა და ა.შ. თავისი განვითარების დონის შესაბამისად ეს სტრუქტურები სულ უფო სცილდებიან ცხოვრების სამყაროს, ისევე როგორც ცხოვრების სამყაროში, რაციონალიზაცია სისტემურ დონეზეც მუდმივ დიფერენციაციას და დიდ სირთულეებს იწვევს. სტრუქტურები უფრო თვითკმარნი ხდებიან. მათი ძლიერების და ძალაუფლების ზრდა-გაფართოების შესაბამისად, ისინი ცხოვრების სამყაროს მართვის დიდ უნარს ავლენენ. ისინი სულ უფრო ნაკლებ დაკავშირებულნი ხდებიან კონსენსუსის მიღწევის პროცესებთან და არსებითად ზღუდავენ ცხოვრების სამყაროში ამ პროცესის გავლენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს რაციონალური სტრუქტურები, ნაცვლად იმისა, რომ გააძლიერონ კომუნიკაციების და გაგების მიღწევის უნარ-ჩვევები, პირიქით ემუქრებიან ამ პროცესებს იმით, რომ მათზე გარეგან კონტროლს ახორციელებენ.



8 . სოციალური და სისტემური ინტეგრაცია

ზემოთ მოყვანილი დებულებებიდან ჰაბერმასი დაასკვნის: "სოციალური თეორიის ფუნდამენტური პრობლემა ისაა, თუ როგორ გავაერთიანოთ დამაკმაყოფილებელი სახით ორი კონცეპტუალური სტრატეგია, რომლებიც აღინიშნება ცნებებით: "სისტემა" და "ცხოვრების სამყარო". ჰაბერმასი ამ ორ კონცეპტუალურ სტრატეგიას "სოციალურ ინტეგრაციას" და "სისტემურ ინტეგრაციას" უწოდებს.

სოციალური ინტეგრაციის მიდგომა კონცენტრირებას ახდენს ცხოვრების სამყაროზე და იმაზე, თუ როგორაა მოქმედების სისტემა ნორმატიულად გარანტირებული, ან კომუნიკაციაში მიღწეული კონსენსუსის მეშვეობით ინტეგრირებული. თეორეტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ საზოგადოება გაერთიანებულია სოციალური ინტეგრაციის მეშვეობით, უკუაგდებენ კომუნიკაციურ მოქმედებას და საზოგადოებას ცხოვრების სამყაროსთან აიგივებენ. ისინი იცავენ ჯგუფის წევრების შინაგან ხედვას და იყენებენ ჰერმენევტიკურ მიდგომას, იმისათვის, რათა თავისი საკუთარი გაგება ცხოვრების სამყაროს წევრების გაგებას შეუთანადონ. საზოგადოების შეუწყვეტელი კვლავწარმოება განიხილება როგორც ცხოვრების სამყაროს წევრთა მიერ წამოწყებულ ქმედებათა რეზულტატი ამ სამყაროს სიმბოლურ სტრუქტურათა შენარჩუნების მიზნით. ეს პროცესიც განსაკუთრებულად მათივე პოზიციებიდან განიხილება. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ჰერმენევტიკულ მიდგომაში იკარგება გარე დამკვირვებლის თვალსაზრისი, აგრეთვე სისტემურ დონეზე მიმდინარე კვლავწარმოების პროცესთა გაგება.

სისტემური ინტეგრაციის მიდგომა ძირითად ყურადღებას აქცევს სისტემას და იმას, თუ როგორაა იგი ინტეგრირებული ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე გარეგანი კონტროლის მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთს სუბიექტურად არ უთანხმებენ. ამ მიდგომის მომხრეები საზოგადოებას თვითრეგულირებად სისტემად მიიჩნევენ. ისინი იკავებენ გარეგანი დამკვირვებლის პოზიციას, მაგრამ ეს პერსპექტივა ხელს უშლის, დაბრკოლებას უქმნის სტრუქტურულ ნიმუშთა რეალურ განხილვას, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ჰერმენევტიკულად იქნან გაგებული ცხოვრების სამყაროს წევრთა შინაგანი შეხედულებით.

ამგვარად, ჰაბერმასის დასკვნით თითოეული მიდგომა აყენებს განსაზღვრულ პრინციპებს, მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვანი შეზღუდულობის მქონენი არიან. ამ კრიტიკის საფუძველზე ჰაბერმასი თავის ალტერნატიულ მიდგომას გვთავაზობს, რადგან თეორიული ორიენტაციის გაერთიანებას ცდილობს. იგი საზოგადოებას მიიჩნევს სისტემად, რომელშიც სოციო-კულტურულმა სამყარომ შენარჩუნების პირობები უნდა შეასრულოს. დოქტრინალური საზოგადოებები, წარმოადგენენ სოციალურად



ინტეგრირებული ჯგუფების მოქმედებათა სისტემურად სტაბილიზებულ კომპლექსებს და იგი მხარს უჭერს ევრისტიკულ წინადადებებს. განვიხილოთ საზოგადოება როგორც არსება, რომელიც სოციალური ევოლუციის მსვლელობაში, როგორც სისტემად, ისე ცხოვრების სამყაროდ დიფერენცირდება.

ჰაბერმასს აინტერესებს როგორც სისტემა, ისე ცხოვრების სამყარო და აგრეთვე მათი ევოლუცია. თუმცა სისტემაც და ცხოვრების სამყაროც ვითარდებიან მზარდი რაციონალიზაციის მიმართულებით, ცხოვრების სამყაროში და სისტემაში რაციონალიზაცია განსხვავებულ ფორმებს იღებს და ეს დიფერენციაცია წარმოადგენს ცხოვრების სამყაროს კოლონიზაციის საფუძველს.

9. სისტემის მიერ ცხოვრების სამყაროს კოლონიზაცია და მისი დაძლევის გზები

კოლონიზაციის იდეის გასაგებად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საზოგადოება ცხოვრების სამყაროსა და სისტემისაგან შედგება. მართალია საზოგადოების ევოლუციის ადრეულ ეპოქაში ისინი მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთში გადახლართულნი, დღეს მათ შორის მზარდი განსხვავებები შეინიშნება. ისინი დაცილდნენ და განცალკევდნენ, როგორც ცხოვრების სამყარომ, ისე სისტემამ დიფერენციაციის პროცესი განიცადა, მაგრამ ამ პროცესმა ორივე სფეროში განსხვავებული სახე მიიღო. მართალია, ჰაბერმასი სისტემასა და ცხოვრების სამყაროს შორის დიალექტიკურ კავშირს ხედავს (ისინი ერთდროულად ზღუდავენ და ამავე დროს ახალ შესაძლებლობებს აძლევენ ერთმანეთს), მაგრამ ძირითადი ინტერესის საგანს შეადგენს საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი წესით გახდა თანამედროვე მსოფლიოში სისტემა ცხოვრების სამყაროს მაკონტროლებელი. ე.ი. რა წესით აკონტროლებს სისტემა ცხოვრების სამყაროს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას აინტერესებს დიალექტიკის დარღვევა სისტემასა და ცხოვრების სამყაროს შორის და პირველის ძალაუფლების ზრდა და ბატონობა მეორეზე.

ჰაბერმასი ერთმანეთს უპირისპირებს სისტემისა და ცხოვრების სამყაროს მზარდ რაციონალიზაციას. ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია კომუნიკაციურ მოქმედებაში რაციონალურობის გაზრდას იწვევს. გარდა ამისა, ურთიერთგაგების მიღწევაზე ორიენტირებული მოქმედება სულ უფრო თავისუფლდება ნორმატიული იძულებისაგან და სულ უფრო დიდი ხარისხით ეყრდნობა ყოველდღიურ ენას. სხვა სიტყვებით, სოციალური ინტეგრაცია მიიღწევა სულ უფრო და უფრო იმ პროცესების მეშვეობით, რომელთა დროსაც თანხმობა ენაში ყალიბდება.



მაგრამ საბოლოოდ ენისადმი მოთხოვნები იზრდება და იწყებს მისი შესაძლებლობების გადაჭარბებას. დელინგვისტიფიცირებული საშუალებები (განსაკუთრებით ფული ეკონომიკურ სისტემაში, ძალაუფლება პოლიტიკურ სისტემაში და მის ადმინისტრაციულ აპარატში) – ანუ ის საშუალებები, რომლებიც დიფერენცირებულნი იქნენ სისტემაში და გამოეყვნენ მას – ავსებენ ამ სიცარიელეს და ცვლიან ყოველდღიურ ენას. მოქმედების ენობრივი კოორდინაციის ნაცვლად ამ ფუნქციას ასრულებს ფული და ძალაუფლება. ცხოვრება მონეტიზირდება და ბიუროკრატიზირდება.

სხვაგვარად გართულებადი სისტემა "გამოათავისუფლებს ცხოვრების სამყაროს შესაძლებლობების დამანგრეველ სისტემურ იმპერატივებს, რომლებსაც ისინი ინსტრუმენტალურ ხასიათს აძლევენ". ამასთან დაკავშირებით ჰაბერმასი წერს "ძალაუფლების" შესახებ, რომელსაც სისტემა ცხოვრების სამყაროს მიმართ იმგვარად იყენებს, რომ ზღუდავს კომუნიკაციას. ეს ძალადობა თავის მხრივ იწვევს ცხოვრების სამყაროში "პათოლოგიებს". ჰაბერმასი ამ ცვლილებებს განიხილავს მსოფლიოს ისტორიის შესახებ ბჭობისას.

"სისტემისა და ცხოვრების სამყაროს შორის მიმავალი განცალკევება იყო ევროპული ფეოდალიზმის ეკონომიკური კლასობრივი საზოგადოებისაკენ გადასვლის აუცილებელი პირობა; მაგრამ მოდერნიზაციის კაპიტალისტური მოდელი ხასიათდება დამახინჯებით, ეს არის ცხოვრების სამყაროს სიმბოლური სტრუქტურების განივთება ქვესისტემების იმპერატივების ზეწოლის შედეგად, რომელი ქვესისტემებიც დიფერენცირებულია ფულისა და ძალაუფლების მეშვეობით და თვითკმარ სისტემად არიან ქცეულნი.

ამგვარად, ჰაბერმასის თვალსაზრისით სისტემის რაციონალიზება იმარჯვებს ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაციაზე, რის შედეგადაც ცხოვრების სამყარო კოლონიზირდება სისტემის მიერ.

კოლონიზაციის რაობას გარკვეულობას ანიჭებს ჰაბერმასი მტკიცებით, რომ მოცემულ პროცესში ძირითად ძალებად გვევლინებიან სისტემურ დონეზე მოქმედების ფორმალურად ორგანიზებული სფეროები, მაგალითად – ეკონომიკა და სახელმწიფო. თანამედროვე საზოგადოებაც ხასიათდება კრიზისებით, მათ დაძლევას ცდილობენ ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა სახელმწიფო და ეკონომიკა, ოღონდ ისეთ მოქმედებებს მიმართავენ, რომლებიც დამღუპველად მოქმედებს ცხოვრების სამყაროზე და იწვევს მასში პათოლოგიებსა და კრიზისებს. არსებითად კი, ცხოვრების სამყარო ღარიბდება ამ სისტემით და კომუნიკაციური მოქმედება იჭედება ვიწრო ჩარჩოებში და უფრო ნაკლებადაა მიმართული თანხმობის მიღწევაზე. კომუნიკაცია იწყება და ქუცმაცდება, თავად ცხოვრების სამყარო კი ბალანსირებას ახდენს დაღუპვისა და დანგრევის ზღვარზე. მაგრამ როგორი



დიდიც არ უნდა იყოს კოლონიზაციის საფრთხე სისტემის მხრიდან ცხოვრების სამყარო არასდროს არ გაქრება მთლიანად.

თუ თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სისტემისა და ცხოვრების სამყაროს გათიშულობასა და ცხოვრების სამყაროზე სისტემის ბატონობაშია, მაშინ სავსებით ნათელია მისი გადაწყვეტა. ერთის მხრივ, აუცილებელია სისტემისა და ცხოვრების სამყაროს კვლავაც შეერთება. მეორეს მხრივ, აღდგენილ უნდა იქნას სისტემისა და ცხოვრების სამყაროს დიალექტიკა ისე რომ, ორივე ავსებდნენ და ამდიდრებდნენ ერთმანეთს. მათი მომავალი შეერთება უკვე რაციონალიზაციის ბაზაზე, შეიძლება გახდეს სისტემის, ცხოვრების სამყაროს და მათი ურთიერთკავშირის ისეთი დონის დაბადებისა (თუ წარმოქმნისა), რომელსაც პრეცედენტი არ იქნება კაცობრიობის ისტორიაში. ჰაბერმასი ყურადღებას ამახვილებს არა ექსპლუატაციაზე, არამედ კოლონიზაციაზე და მრავალ სოციალურ კონფლიქტს იხილავს ამ მიდგომის შუქზე. იგი ისეთ სოციალურ მოძრაობებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მეტ თანასწორობაზე, თვითრეალიზაციაზე, გარემოსა და მშვიდობის დაცვაზე, თვლის ცხოვრების სამყაროზე სისტემის მიერ მიტანილ იერიშზე რეაქციად. მიუხედავად ამ მოძრაობათა განსხვავებული პოლიტიკური პროექტებისა თუ ინტერესებისა, თითოეული მათგანი არის ცხოვრების სამყაროს კოლონიზაციის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. მომავლის იმედი განსაზღვრულად დაკავშირებულია ცხოვრების სამყაროსადმი ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლაზე და ისეთი სამყაროს შექმნა, რომელშიც სისტემა და ცხოვრების სამყარო ჰარმონიაში იქნებიან და ისე გაამდიდრებენ ერთმანეთს, როგორც ეს ჯერ კიდევ არ ყოფილა ისტორიაში.

10. თანამედროვეობის დაუსრულებელი პროექტი.

სავარაუდოდ იურგენ ჰაბერმასი დღეისათვის არა მხოლოდ წამყვანი თეორეტიკოსია, თანამედროვეობისა და რაციონალიზაციის თავდადებული დამცველიცაა, მიუხედავად თავდასხმებისა პოსტმოდერნისტების (არა მხოლოდ) მხრიდან. სეიდმანის თანახმად, *ანტი თუ პოსტმოდერნისტული კოზიციის დამცველი მრავალი თანამედროვე ინტელექტუალისაგან განსხვავებით, ჰაბერმასი თანამედროვეობის ინსტიტუციონალურ მოწყობაში ამჩნევს რაციონალობის სტრუქტურას. მაშინ, როდესაც ბევრი ინტელექტუალი სკეპტიკურად უყურებს თანამედროვეობის განმანათლებელ პოტენციალს. . ჰაბერმასი ჯიუტად აგრძელებს საუბარს თანამედროვეობის უტოპიურ შესაძლებლობებზე. სოციალურ სიტუაციაში სადაც რწმენა განმანათლებლობის მიერ წამოყენებულ*



პროგრამისა, რომ გონებაზე დაყრდნობით შესაძლებელია იდეალური საზოგადოების მოწყობა, არის ჩაფერფლილი იმედი და დამხობილი კერპი, ჰაბერმასი მაინც რჩება მის ერთერთ დამცველად (Seidman, 1989,პ.2).

ჰაბერმასს თანამედროვეობა წარმოუდგენია „დაუსრულებელ პროექტად“ (Habermas, 1991, 1987ბ), მხედველობაში აქვს, რომ თანამედროვე სამყაროში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ამის შემდეგ ვისაუბროთო პოსტმოდერნისტულ სამყაროზე (Scambler, 1996).

ზემოთ, ჩვენ განვიხილეთ თანამედროვეობაზე ჰაბერმასის განაზრებების მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც გავეცანით მის შეხედულებებს სისტემაზე, ცხოვრებისეულ სამყაროზე და სისტემის მიერ ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ჰაბერმასს (Habermas,1986,P.96) აინტერესებს „თანამედროვეობის პათოლოგიის თეორია“, რამდენადაც მიაჩნია, რომ თანამედროვეობა საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში იმყოფება. ის გულისხმობს, რომ რაციონალობა (ძირითადად, ფორმალური რაციონალობა), რომელიც გახდა სოციალური სისტემის მახასიათებელი, განსხვავდება ცხოვრებისეული სამყაროსათვის დამახასიათებელი რაციონალობისაგან და იმყოფება მასთან წინააღმდეგობაში. სოციალური სისტემები გართულდნენ, უფრო დიფერენცირებულნი და ინტეგრირებულნი გახდნენ და ხასიათდებიან ინსტრუმენტალური გონებით. ცხოვრებისეულმა სამყარომაც განიცადა რეფლექსიურობისა და კრიტიკის ნორმების მზარდი დიფერენციაცია და შემჭიდროვება (გარდა ფუნდამენტალური ცოდნისა და ჭაშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის ღირებულებითი სფეროებისა), სეკულარიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია (Seidman, 1989,პ.24). რაციონალურ საზოგადოებაში როგორც სისტემის ასევე ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაცია შეიძლება წავიდეს თავისი გზით, თავისი საკუთარი ლოგიკით. სისტემისა და ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაციამ შეიძლება წარმოშვას საზოგადოება რომელშიც ადგილი ექნება გარე სამყაროზე კონტროლსა და მატერიალურ დოვლათს (როგორც რაციონალური სისტემების შედეგი), და ჭეშმარიტებას, სიკეთეს და სილამაზეს (ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალობის შედეგი). მაგრამ თანამედროვე სამყაროში სისტემა იქცა უმთავრესად და ცხოვრებისეული სამყარო თავის კოლონიად აქცია. შედეგად, თუმცა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მივირთვად სისტემის რაციონალიზაციის ნაყოფი, ჩვენ ვკარგავთ ცხოვრების სიმდიდრეს რაც შესაძლებელი იქნებოდა თუ აყვავდებოდა ცხოვრებისეული სამყარო. მბევრი სოციალური მოძრაობა რომელიც აღმოცენდნენ უკანასკნელ ათწლეულებში ცხოვრებისეული სამყაროსა და სისტემის ზღვარზე შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც წინააღმდეგობა ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციისა და გაღარიბებისადმი.



აანალიზებდა რა სისტემის მიერ ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციას, ჰაბერმასი თავის თეორიას ადარებს მაგალითებს სოციალური აზრის ისტორიისდან: *სოციალური თეორიის ძირითადი მიმართულება, დაწყებული მარქსიდან და სპენსერისა და დურკჰემის გავლით ზიმელს, ვებერსა და ლუკაჩამდე უნდა განიხილებოდეს, როგორც პასუხი გარესისტემების შესვლაზე საზოგადოებაში (ჰაბერმასის ცხოვრებისეული სამყარო), „შინაგანი უცხო ტერიტორიის წარმოშობაზე“, რომელიც გაგებულია როგორც თანამედროვეობის განმასხვავებელი ნიშანი (Habermas, 1991, p.255-256. კურსივი ჩემია).*

სხვა სიტყვებით, „თანამედროვეობის განმასხვავებელი ნიშანი“ ჰაბერმასისა და კლასიკოს თეორეტიკოსთა უმრავლესობის აზრით, არის, თუ გამოვიყენებთ ჰაბერმასის ტერმინს, სისტემის მიერ ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაცია.

რაღა არის მაშინ ჰაბერმასის აზრით თანამედროვეობის პროექტის დასრულება? თითქოს ცხადია, რომ საბოლოო მიზანი უნდა იყოს რაციონალური საზოგადოება, რომელშიც სრულად უნდა გამოვლინდეს, როგორც სისტემის, ასევე ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალობა და მათ ერთმანეთი არ უნდა გაანადგურონ. დღეისათვის შეიმჩნევა ცხოვრებისეული სამყაროს გადარიბება და ეს სიძნელე დაძლეულ უნდა იქნას. მაგრამ გამოსავალს ჰაბერმასი ხედავს არა სისტემების რღვევაში (განსაკუთრებით ეკონომიური და ადმინისტრაციული), რადგანაც სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაციისათვის აუცილებელ მატერიალურ წანამძღვრებს.

ჰაბერმასის (Habermas, 1987b) მიერ განხილულ საკითხთაგან ერთ – ერთი ის სიძნელეა, რომელიც ახასიათებს სოციალური კეთილდღეობის ბიუროკრატიულ სახელმწიფოს. ამ პრობლემას ბევრი აღიარებს. მაგრამ მის გადაჭრას გვთავაზობენ სისტემის დონეზე, მაგალითად, სირთულის გადასაჭრელად ახალი ქვესისტემის მარტივი დამატებით. ჰაბერმასს არ მიაჩნია, რომ ამ გზით შეიძლება სიძნელის გადაჭრა. მისი ვარაუდით ასეთი პრობლემები უნდა გადაიჭრას სისტემისა და ცხოვრებისეული სფეროს ურთიერთკავშირში. ჯერ-ერთი უნდა დადგინდეს „ხელისშემშლელი ბარიერები“, რათა შესუსტდეს სისტემის გავლენა ცხოვრებისეულ სფეროზე. მეორე, უნდა შეიქმნას „ხელსაწყოები“ რათა გაიზარდოს ცხოვრებისეული სფეროს გავლენა სისტემაზე. ჰაბერმასი ასკვნის, რომ თანამედროვე პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია „თუ სისტემა შეისწავლის უკეთ ფუნქციონირებას. ცხოვრებისეულ სფეროს უნდა ქონდეს უნარი შევიდეს და დაინერგოს ფუნქციონალური სისტემების თვითმმართველობაში“ (Habermas, 1987b, P.364). აღნიშნული ნაბიჯები მნიშვნელოვანი ეტაპები გახდებიან ურთიერთგამამდიდრებელი სისტემისა და ცხოვრების სფეროს



შექმნის გზაზე. სწორედ აქ გამოდის სცენაზე სოციალური მოძრაობა, რადგან იძლევა იმედს სოციალური სისტემისა და ცხოვრებისეული სფეროს ახალ გაერთიანებაზე, სადაც რაციონალიზაცია შესძლებს ორივეგან სწრაფად გამოვლენას.

ჰაბერმასს ნაკლებად აქვს აშშ-ს იმედი, რომელიც თითქოსდა მზადაა დაიცვას სისტემის რაციონალობა ცხოვრების სფეროს შემდგომი გადარიბების ხარჯზე. მაგრამ მას აქვს ევროპის იმედი, რომელიც შესძლებს გამოააშკარავოს „მცდარი შეხედულება იმის შესახებ, რომ რაციონალიზირებულ ცხოვრებისეულ სფეროებში მოქცეული თანამედროვეობის ნორმატიული შინაარსი, შეიძლება გამონთავისუფლდეს უფრო რთული სისტემების საშუალებებით” (Habermas, 1987b, P. 366). ამგვარად, ევროპას აქვს შესაძლებლობა შეითვისოს „დასავლეთის რაციონალური მემკვიდრეობა” (Habermas, 1987b, P. 366). დღეს ეს მემკვიდრეობა გარდაიქმნება სისტემის რაციონალობის იმ მიზნით შეზღუდვით, რომ მიანიჭოს რაციონალობა ცხოვრების სფეროს იმ დონემდე, როდესაც ორივე რაციონალობა შესძლებდნენ თანაარსებობას ერთდროულად ერთი და იგივე უფლებებით. სისტემისა და ცხოვრების სფეროს ასეთი სრულფასოვანი თანამშრომლობა იქნებოდა თანამედროვეობის პროექტის დასრულება. რამდენადაც ჩვენ ჯერ შორსა ვართ ამ მიზნისაგან, ამდენად თანამედროვეობის დასასრული შორსაა და ადრეა საუბარის პოსტმოდერნიზმის ეპოქის მოახლოებასა და დადგომაზე.

11. ი. ჰაბერმასი პოსტმოდერნისტების წინააღმდეგ.

ჰაბერმასს მოყავს არგუმენტები არა მხოლოდ თანამედროვეობის სასარგებლოდ, არამედ პოსტმოდერნისტების საწინააღმდეგოდაც. კრიტიკის დასაწყისი შეიმჩნევა მის გახმაურებულ ესეში „თანამედროვეობა პოსტთანამედროვეობის წინააღმდეგ” (1981). (ჩნდება შეგრძნება, რომ გვიანდელ შემოქმედებაში ჰაბერმასი უფრო დეტალურად და უფრო რბილად აკრიტიკებს პოსტმოდერნიზმს (Peters, 1994)). ამ ესეში ჰაბერმასი სვამს კითხვას: „აქვს თუ არა აზრი XX საუკუნის წარუმატებლობების შემდეგაც დავიცვათ *განმანათლებლობის მიზნები*, როგორი არაადექვატურიც არ უნდა იყონ ისინი, ან ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ თანამედროვეობის მთელი პროექტი წარუმატებელია?” (1981, პ.9). რა თქმა უნდა, ჰაბერმასი არ არის მომხრე უარი ეთქვას განმანათლებლობის პროგრამას, სხვა სიტყვებით, თანამედროვეობას. ის აქცენტს აკეთებს იმათ შეცდომებზე, რომლებიც უარყოფენ თანამედროვეობას. მათი ერთ-ერთი არსებითი შეცდომა ის არის, რომ სურთ უარი ეთქვან მეცნიერებაზე, განსაკუთრებით ცხოვრების სფეროს მეცნიერებაზე. მეცნიერების ჩამოცილება ცხოვრების სფეროსაგან და მისი



ექსპერტებისათვის გადაცემა სხვა ავტონომიური სფეროების შექმნის პარალელურად, გამოიწვევდა „თანამედროვეობის მთელი პროექტისათვის“ უარის თქმას (Habermas, 1981, P.14). ჰაბერმასი არ გამორიცხავს ცხოვრების სფეროს რაციონალურ, „მეცნიერულ“ გაგებას, ისევე, როგორც ამ სფეროს რაციონალიზაციის შესაძლებლობას.

ჰოლუბი (Holub, 1991) მიმოიხილავს ჰაბერმასის მიერ პოსტმოდერნისტების კრიტიკას. ჯერ-ერთი, პოსტმოდერნისტები ცალსახად არ საუბრობენ რას ქმნიან: სერიოზულ თეორიას თუ ბელეტრისტიკას. თუ მათ შევხედავთ, როგორც სერიოზული თეორიის შემქმნელებს, მაშინ მათი შემოქმედება აბსურდულია, რადგან „უარს ამბობენ გამოიყენონ ინსტიტუციონალურად დაფუძნებული ლექსიკა“ (Holub, 1991, პ.158). მეორე მხრივ, თუ პოსტმოდერნისტების შემოქმედებას გავაიგივებთ ლიტერატურასთან „მაშინ მათი არგუმენტები სრულად დაკარგავენ ლოგიკურ აზრს“ (Holub, 1991, პ.158). ორივე შემთხვევაში შეუძლებელია ჩატარდეს პოსტმოდერნისტების შემოქმედების სერიოზული კრიტიკული ანალიზი, რამდენადაც მათ ყოველთვის შეუძლიათ გააკეთონ განცხადება, რომ ჩვენ არ გვესმის მათი სიტყვების აზრი ან ლიტერატურული ხერხები.

მეორე, ჰაბერმასს მიაჩნია, რომ პოსტმოდერნისტებს ამოდრავებთ გარკვეული ნორმატიული განწყობა, მაგრამ როგორია ეს განწყობა მკითხველისაგან დაფარულია. ამგვარად, მათ მიერ ჩამოყალიბებული მიზნებიდან მკითხველი ვერ შესძლებს გაიგოს, თუ რას უწევენ ისინი ანგარიშს, რატომ აკრიტიკებენ საზოგადოებას. ამას გარდა, პოსტმოდერნისტები ხმას არ იღებენ თავიანთ ნორმატიულ განწყობებზე, ხმამაღლა კი უარყოფენ ასეთ განწყობებს. მსგავსი შეხედულებების გამოუთქმელად არსებობა ხელს უშლის მათ გააზრებული პრაქტიკის შემუშავებაში, რომელიც მიმართული იქნებოდა იმ შეცდომების დასაძლევად, რომლებიც მათ აღმოაჩინეს. ჰაბერმასის მიერ თავისი დამოკიდებულების (თავისუფალი და ღია კომუნიკაცია) ცხადი ფორმულირება, პირიქით, ნათელი ფენს საზოგადოების მისეული კრიტიკის წყაროებს და აყალიბებს პოლიტიკური პრაქტიკის საფუძვლებს.

მესამე, ჰაბერმასი ბრალს სდებს პოსტმოდერნიზმს იმაში, რომ ეს არის ზოგადი მიდგომა, რომელსაც არ ძალუძს „განასხვავოს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და პრაქტიკა“ (Holub, 1991, პ.159). მაგალითად, მტკიცება იმისა, რომ მსოფლიოში ბატონობს ძალაუფლება და ზედამხედველობა, არასაკმირისადაა დეტალიზირებული და შეუძლებელია თანამედროვე სამყაროში ჩაგვრის რეალური საფუძვლების სრულყოფილი ანალიზი.

ბოლოს, პოსტმოდერნისტებს ბრალი ედებათ იმ სფეროს იგნორირებაში, რომელსაც ჰაბერმასი ცალსახად თვლის ძირითადად – ყოველდღიური



ცხოვრება და მისი პრაქტიკა. პოსტმოდერნისტთა ეს დაუდევრობა ორ ნაკლზე მიუთითებს. ერთი მხრივ, ისინი მოჭრილი არიან ნორმატიული სტანდარტების დამუშავების არსებითი წყაროებისაგან. მხოლოდ და მხოლოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქცეული რაციონალური პოტენციური ჰაბერმასისათვის არის მისი კომუნიკაციური რაციონალობის იდეის წყარო (Cooke, 1994). მეორე მხრივ, ყოველდღიური სამყარო ასევე არის სოციალური მეცნიერებების მოღვაწეობის საბოლოო მიზანი, რადგან სწორედ აქ შეუძლიათ თეორიულ წარმოდგენებს ქონდეთ გავლენა პრაქტიკაზე.

ჰაბერმასი თანამედროვეობა – პოსტთანამედროვეობაზე თავისი შეხედულებების განზოგადებას გვაძლევს, რაც ჩვენ დაგვეხმარება გადავიდეთ წიგნის შემდეგ თავზე, სადაც განვიხილავთ პოსტმოდერნისტების სოციალურ თეორიას: „თანამედროვეობის ცნება აღარ გვპირდება ბედნიერებას. მაგრამ, თანამედროვეობაზე ყოველნაირი საუბრების მიუხედავად, ცხოვრების ამ ფორმაში არაა რაციონალობის ნათლად გამოკვეთილი ალტერნატივა. რაღა გვრჩება მაშინ, გარდა იმისა, რომ ცხოვრების ამ ფორმის ჩარჩოებში ვეცადოთ პრაქტიკის სრულყოფას?“ (Habermas, 1994, P.107).

II. ჰაბერმასი ინდუსტრიული საზოგადოების ლეგიტიმაციის შესახებ

1. სოციოლოგია, როგორც გამოყენებითი განმარტება

გერმანიაში დღეს ნიკლას ლუმანის გვერდით უდიდეს სოციოლოგ-თეორეტიკოსად მიიჩნევენ იურგენ ჰაბერმასსაც. ორივე მათგანი ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. ისინი რეგულარულად გამოხატავენ აზრს საზოგადოებრივ, „პოლიტიკურ თუ ფილოსოფიურ საკითხებთან დაკავშირებით. მაშინ როცა ლუმანი ინტერვიუებს თავისი თეორიული იდეების განმარტებისთვის იყენებს და ასევე შეძლებისდაგვარად ცდილობს გამოვიდეს სოციოლოგთა შეკრებებზე, ჰაბერმასი მისგან განსხვავებით წლების განმავლობაში თავს იკავებს მასობრივ შეკრებებზე გამოსვლისაგან. სოციოლოგიაში მისი სახელი უკავშირდება 1981 წელს გამოცემულ „კომუნიკაციური ქმედების თეორიას“.

ამ ქვეთავში მინდა დავუბრუნდე ადრე გამოქვეყნებულ სტატიებს, სადაც ჰაბერმასი ლუმანის ოპოზიციად აცხადებს თავს. ლუმანსა და ჰაბერმასს შორის არსებული ოპოზიციურობა იმდენად დიდია, რომ დღეს იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ ეს ორი პიროვნება ოდესღაც



ერთმანეთთან თანამშრომლობდა. ისინი სტატიებსაც კი უშვებდნენ თანანაავტორობით.

60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა ამ ორი მათგანს შორის არსებული განსხვავებები: ლუმანის თეორიის მიხედვით, სოციოლოგია განიხილებოდა, როგორც ამოხსნილ განმარტებად, ხოლო ჰაბერმასის თეორია სოციოლოგიას განიხილავდა, როგორც გამოყენებით განმარტებად.

იურგენ ჰაბერმასი დაიბადა 1929 წელს ქალაქ დიუსელდორფში. ის სწავლობდა ფილოსოფიას, ისტორიას, ფსიქოლოგიას, გერმანულ ლიტერატურასა და ეკონომიკას ქალაქ გოთინგენში, ციურიხსა და ბონში. ის მუშაობდა სოციალური კვლევის ასისტენტად ფრანკფურტის ინსტიტუტში (1955-1959წწ) და ითვლებოდა იქაური მასწავლებლის მაქს ჰორკჰაიმერისა და თეოდორ ადორნოს მოსწავლედ. ჰორკჰაიმერთან განსხვავებული თეორიული და პოლიტიკური შეხედულებების გამო მარბურგში ის შეუერთდა ვოლფგანგ აბენდროსს. ჰაბერმასი თავისი წიგნით „საზოგადოების სტრუქტურული ცვლილება“, ცნობილი სახე გახდა.

1961 წლიდან 1964 წლამდე ჰაბერმასი იყო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი ფილოსოფიის დარგში. 1964 წლიდან 1971 წლამდე ის იყო ფრანკფურტში ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პროფესორი. ხოლო 1971 წლიდან 1983 წლამდე - მაქს-პლანკის ინსტიტუტის დირექტორი სამეცნიერო-ტექნიკური სამყაროს ცხოვრების პირობების კვლევის საკითხებში. 1983-1994 წლებში ის კვლავ იყო ფრანკფურტის მაინის უნივერსიტეტის პროფესორი სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში.

ჰაბერმასის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს წარმოადგენდა და წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება. ჰაბერმასის ინტერესები თავიდანვე მიმართული იყო დემოკრატიული, გონივრული საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ, რომელსაც შექმნიდნენ მოაზროვნე და ემანსიპირებული მოქალაქეები. დემოკრატიას ის უშუალოდ უკავშირებდა ემანსიპაციას. სტუდენტური მოძრაობების დროს, ჰაბერმასი გვევლინება მკაცრ ოპოზიციონერად და სოციალისტ გერმანელ სტუდენტთა კავშირს მოიხსენიებს, როგორც ყალბ „მემარცხენე ფაშიზმად“. მათი დემონსტრაციები და ინსტიტუტის სხდომები, ჰაბერმასის განცხადებით რეალობისაგან საკმაოდ დაშორებული იყო. მისი მოსაზრების თანახმად, საზოგადოების ცვლილებისთვის საჭიროა „განმარტების ორგანიზაცია“. ამ პროცესში ჰაბერმასის აზრით, არ არსებობს ხელმძღვანელი, წინამძღოლი. ამ პროცესში არსებობენ მხოლოდ მონაწილეები, მეთაურის გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს უნდა შესწევდეთ უნარი, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომები, გაურკვეველი პუნქტები აღიარონ, შეიმუშავონ და შემდგომში შეცვალონ. საზოგადოების



კრიტიკული წარმომადგენლები და არა მარტო მოსწავლეები ან სტუდენტები (ძირითადად ახალგაზრდა თაობა მიეკუთვნება კრიტიკულ საზოგადოებას) ვალდებულნი არიან პოლიტიკური თეორიის მიზნები პრაქტიკაში განახორციელონ.

ჰაბერმასი, ისევე როგორც სხვა ეგრეთწოდებული ნეომარქსისტული ავტორები, ორიენტაციას იღებს კარლ მარქსის მიერ განვითარებული ისტორიული მატერიალიზმის მთავარი თეზისებიდან. მარქსზე დაყრდნობით ჰაბერმასი იკვლევდა თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებს. მისი თეზისების უკეთ გასაგებად ის კარლ მარქსის ლექსიკონზე მიუთითებს.

ნიკლას ლუმანი კი სოციოლოგიას სულ სხვა ჭრილში განიხილავს. ჰაბერმასის აზრით, ლუმანი თავისი პრაგმატული თეორიით წინ ეღობება დემოკრატიული განვითარების გზას. ამით ჰაბერმასმა ცხადყო, რომ ის როგორც მემარცხენე (სამოციან წლებში სტუდენტური მოძრაობის წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით ის „მწვანეების“ წინააღმდეგაც გამოდიოდა) ასევე მემარჯვენე ძალებს გაემიჯნა.

2. ლიბერალური კაპიტალიზმიდან გვიანდელ კაპიტალიზმამდე

კარლ მარქსი თავის ანალიზებში, კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ძირითად წესს ეყრდნობოდა. 60-იან წლებში სოციოლოგები, ისევე როგორც ეკონომისტები დაკავებულნი იყვნენ იმ კითხვით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო თანამედროვე საზოგადოების ანალიზი კარლ მარქსის თეორიის ჩარჩოებში და რა ეტიკეტი უნდა ჰქონოდა დღევანდელ საზოგადოებას. აქ დაისვა შემდეგი კითხვა : გვიანდელი კაპიტალიზმი თუ ინდუსტრიული საზოგადოება?

კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები, ისევე როგორც თეოდორ ადორნო, ამ დილემას შემდეგნაირად ხსნიან: ახლანდელი საზოგადოება, მისი საწარმოო ძალების განვითარების შესაბამისად უკვე ინდუსტრიალურ საზოგადოებას წარმოადგენს.

ჰაბერმასს თანამედროვე საზოგადოების ისტორიული (იდეოლოგიური, ეკონომიკური) ფესვები აინტერესებს. ის საზოგადოებრივი ფორმაციის შემდეგ ეტაპებს განასხვავებდა.



კლასობრივი საზოგადოებები :

საზოგადოების ფორმაცია

- ღრმად კულტურული
- კულტურული
- ტრადიციული
- თანამედროვე
- კაპიტალისტური
- (ლიბერალური კაპიტალიზმი)
- (ორგანული კაპიტალიზმი)
- პოსტკაპიტალისტური
- პოსტთანამედროვე

აქ ჩამოთვლილ საზოგადოებრივ კლასთა დაყოფას რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჰაბერმასი ორგანიზაციულობის პრინციპს ეყდრნობა. ორგანიზაციულ პრინციპში ის საზოგადოებისთვის ტიპიურ, „აბსტარქტულ კანონებს“, წესებს გულისხმობს. ასევე წინა კაპიტალისტურ საზოგადოებებსაც ჰქონდათ გასაზღვრული ორგანიზაციული პრინციპები.

ტრადიციულ, არაინდუსტრიული ფეოდალიზმის საზოგადოებებში ძალაუფლება და საგადასახადო ფუნქციები ეკისრებოდა მთავრობას. მსოფლიო და სულიერი ძალადობა აქ გაყოფილი იყო. ტრადიციული მსოფლმხედველები საზოგადოების წარმომადგენლებს აძლევენ ორიენტაციას და ხელს უწყობენ მართველობის სისტემის სტაბილიზაციას. აქ საუბარია კლასობრივი საზოგადოების მართველობაზე პოლიტიკურ ჭრილში.

ცნება „თანამედროვე“ საზოგადოება, ჰაბერმასის აზრით წარმოადგენს ყველაზე ზედა ცნებას სხვა და სხვა კაპიტალისტური საზოგადოებების ტიპებისთვის. კლაუს ოფეს პირადი მოსაზრებით, კაპიტალისტურია ის საზოგადოებრივი სისტემები, რომლებშიც წარმოების საშუალებები, მნიშვნელოვანი და დიდი ნაწილი, პირადი, კერძო გამოყენებისთვისაა განკუთვნილი.

ლიბერალურ კაპიტალიზმს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საწყის ეტაპს ემთხვევა, ასევე მოიხსენიებენ ლიბერალურ კონკურენტულ კაპიტალიზმად. სიტყვა „ლიბერალში“ იგულისხმევა, რომ აქ სახელმწიფო შიდა ჩარევას არ აპირებს, ანუ უნდა მოხდეს წარმოების ბაზარზე გატანა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. თითოეული საწარმო ამ დროს ერთმანეთის უშუალო კონკურენტი ხდება. „სამოქალაქო კერძო სამართლის ორგანიზაციულ პრინციპებში ჩამოყალიბებულია დამოკიდებულება



სახელფასო სამუშაოსა და კაპიტალს შორის”. ორივეს ურთიერთდამოკიდებულება ერთმანეთთან სრულიად აპოლიტიკურია.

ლიბერალური კაპიტალიზმის მნიშვნელოვანი პუნქტი არის ეკონომიკის ავტონომიურობა სახელმწიფოსთან მიმართებაში. აქ მართული „ზევიდან” სულაც არაა საჭირო. აქ მხოლოდ ისაა მთავარი, რომ ლიბერალური კაპიტალიზმიც გაგებულ იყოს, როგორც თანამედროვე საზოგადოება. ეკონომიკის სფერო აქ არის სახელმწიფოსგან საკმაოდ თავისუფალი სივრცე. როდესაც ვსაუბრობთ „ორგანიზირებულ კაპიტალიზმზე”, დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის იცვლება. აქ სახელმწიფო არეგულირებს საერთო ეკონომიკურ სიტუაციას. ის ქმნის და აუმჯობესებს სარეალიზაციო პირობებს მზარდი კაპიტალისთვის. სახელმწიფოს ზეგავლენა სულ უფრო და უფრო მატულობს. ამ პროცესების ბოლო საფეხურს კი წავაწყდებით გვიანდელ კაპიტალიზმში. ჰაბერმასის აზრით, ორგანიზებულ კაპიტალიზმსა და გვიანდელ კაპიტალიზმს შორის ზღვარი სწორად უნდა გაივლოს.

პოსტკაპიტალისტურ საზოგადოებას ჰაბერმასი და ოფე განმარტავენ, როგორც სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებულ კაპიტალიზმს, რომელმაც ლიბერალური კაპიტალიზმი ჩაანაცვლა. თავად ეს ცნება პირველად გამოიყენა ეკონომისტმა ვერნერ ზომბარტმა.

ორგანიზებული კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო აპარატი ხელს უწყობს არა მხოლოდ წარმოებას, არამედ ის თავად გვევლინება მომავალი წარმოების პროცესის ინიციატორად. აქ ეკონომიკური პროცესი ხდება პოლიტიკური სტრუქტურის ეფექტურობისა და უსაფრთხოების მიზნით, აქ ადმინისტრაციული ჩარევა აუცილებელია. მხოლოდ ეკონომიკურ სექტორს არ გააჩნია საკმარისი პოტენციალი, რომ საკუთარი ლეგიტიმაციისთვის მარტო იზრუნოს.

– ჰაბერმასის მიხედვით, გვიანდელ კაპიტალიზმში წარმოების დამოკიდებულება შემდეგნაირად შეიცვალა: ის ე.წ. ღია სექტორად ჩამოყალიბდა. ეს ნიშნავს, რომ ამ დროს არსებობს სულ უფრო მეტი დამგეგმავი და ადმინისტრაციული უწყებები (ორგანოები), რომლებიც მარტო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს კი არ ახორციელებენ, არამედ ამ გადაწყვეტილების ინიციატორადაც გვევლინებიან. საზოგადოებრივი ცხოვრება ამ დროს სულ უფრო მეტად ბიუროკრატიული ხდება.

– უფრო მეტი კოალიციები ყალიბდება პროფკავშირებსა და საწარმოებს შორის.

– ადმინისტრაციული სისტემა თავსდება (ადგილს იკავებს) ბაზრის ფუნქციის ხვრელებში.

ჰაბერმასის აზრით, ეს ქმედება არ არის თავისთავადი, არამედ ის განიხილება, როგორც ძალისმიერი პროცესი.



გვიანდელი კაპიტალიზმი გულისხმობს ეკონომიკური კონცენტრაციის ზედა დონეს, სახელმწიფო აპარატის მიერ რეგულირებადი ინვესტიციით. აქ ხაზი უნდა გავუსვათ „რეგულირებად“

სიტყვას, რადგან სახელმწიფოს მხოლოდ ფუნქციონალური ინტერესი გააჩნია და არა ძირითადი, იმ გაგებით, რომ სახელმწიფო თავისი მოქალაქეებით არ ვაჭრობს.

გვიანდელი კაპიტალისტური საზოგადოება თავს წარმოაჩენს, როგორც მასობრივ დემოკრატია და სოციალურად უზრუნველყოფილ სახელმწიფოდ. ამ ფასადის მიღმა კი იმალებიან გვიანდელი კაპიტალიზმის კრიტიკოსთა თვალსაზრისით ავტორიტარული და ძალისმიერი სტრუქტურები, რომლებიც მოქალაქეებს სიტყვის თქმის საშუალებას უსპობენ და ამით საზოგადოების ემანსიპაციას უშლიან ხელს. ყველაზე მნიშვნელოვან „მოჩვენებით მანევრად“ ითვლება ის, რომ კლასობრივი კონფლიქტი კი არ მცირდება, არამედ ფარულად ისევ გრძელდება. სულ უფრო და უფრო იზრდება აქ კრიზისი. გვიანდელი კაპიტალიზმი თვითგანადგურების ელემენტებს თავად ატარებს.

საზოგადოებრივი ფორმაციის ტიპებში ჰაბერმასი პოსტმოდერნისტულ საზოგადოებას, ფორმაციის ბოლო ტიპს მიაკუთვნებს. ეს ცნება პირველად დაამკვიდრა ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან - ფრანსუაზ - ლოიტარდმა, რომელიც განსაზღვრავდა ექსპერიმენტალური აზროვნების მიმართულებას. ეს გულისხმობდა ცვლილებას სოციალურ მეცნიერებაში, ხელოვნებასა და არქიტექტურაში. ჰაბერმასი სიტყვა „პოსტმოდერნისტულს“ კრიტიკულად უყურებს და მას საკუთარ ახალ სახელს „ნეო-კონსერვატულს“ უწოდებს. 70-იანი წლების დასაწყისში ჰაბერმასი ღიად საუბრობს საზოგადოების ამ ტიპის გადასვლაზე. აქ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ის საკითხი, მოიპოვებდა თუ არა გვიანდელი კაპიტალისტური საზოგადოება შანსს, მოეხდინა ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბებულიყო სრულიად ახალ პოსტმოდერნისტულ საზოგადოებად.

1980 წელს ჰაბერმასმა ღიად დააფიქსირა თავისი შეხედულება „პოსტმოდერნისტულ საზოგადოებასთან“ დაკავშირებით, როცა ის „ადორნოს ჯილდოს“ გადაცემაზე სიტყვით გამოვიდა. თემა იყო „თანამედროვე-დაუსრულებელი პროექტი“.

3. სისტემური და სოციალური ინტეგრაცია.

ჰაბერმასი საზოგადოების ანალიზში ორ ცენტრალურ ცნებას გამოყოფს: სისტემური ინტეგრაცია და სოციალური ინტეგრაცია. ამ ორი ინტეგრაციული ფორმის ურთიერთდამოკიდებულება არის საფუძველი კრიზისების ტიპოლოგიის დასადგენად, ამიტომაც მათი აღნიშვნა აქ აუცილებელია. ინტეგრაცია უკავშირდება საზოგადოებრიობის მთლიან



სისტემას, ის არის ერთი მთლიანი ორგანიზმის წარმონაქმნი. პარსონსის აზრით, მხოლოდ ინტეგრირებული სისტემები წარმოადგენენ სტაბილურ სისტემებს. აქედან გამომდინარე, ინტეგრაცია ხელს უწყობს სისტემის შენარჩუნებას. ინტეგრაცია არის დეზორგანიზაციის საწინააღმდეგო სიტყვა. ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლოქვუდი ხაზს უსვამს, რომ სოციალური ინტეგრაცია, ისევე როგორც სისტემური ინტეგრაცია შეიძლება როგორც დარეგულირდეს, ასევე კონფლიქტებით დაიტვირთოს. სოციალური ინტეგრაცია მთლიანობაში გულისხმობს საზოგადოების წარმადგენლებს შორის ურთიერთდამოკიდებულ მოქმედებას.

სისტემურ ინტეგრაციას ჰაბერმასი იგებს, როგორც პრობლემების, სირთულეების შემცირებას, რომელიც საზოგადოებრივმა სისტემამ უნდა შეძლოს, რათა საკუთარი თავი შეინარჩუნოს.

ჰაბერმასისთვის ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული შეკითხვა, სისტემის შიდა პოლიტიკური მთლიანობის რღვევის შემთხვევაში, კრიზისი გარდაუვალია - მიიჩნევს ჰაბერმასი.

თუ ეს ორი სისტემური და სოციალური ინტეგრაციები ერთდროულად მოირღვა, მაშინ საქმე გვექნება სისტემის კრიზისთან.

სოციალურად ინტეგრირებულ საზოგადოებაში საზოგადოების წარმომადგენლებს შორის არსებობს ნორმები და ფასეულობები. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და მათი ძირითადი პრინციპებისაგან. სოციალური ინტეგრაცია აისახება საზოგადოების მსოფლემხედველობაში, ინდივიდის ფორმაციასა და სამართლებრივ-მორალურ სისტემებში.

4. კრიზისული ტენდენციები გვიანდელ კაპიტალიზმში.

გვიანდელი კაპიტალისტური საზოგადოებისთვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო კრიზისული სიმპტომების მომატება. თუმცა კრიზისები წინამორბედ საზოგადოებრივ ფორმაციებშიც შეინიშნებოდა. ლიბერალურ კაპიტალიზმში კრიზისს წარმოადგენდა გადაუჭრელი ეკონომიკური საგადასახადო სისტემა. ახალი მსგავსი სიტუაცია იჩენს თავს ორგანიზებულ კაპიტალიზმსა და გვიანდელ კაპიტალიზმშიც, რომელიც ჰაბერმასის აზრით მხოლოდ და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ათწლეულების განმავლობაში წარმატებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მიაღწიეს იმას, რომ კლასობრივი კონფლიქტი მის ბირთვში ფარულად ყოფილიყო.

ჰაბერმასი პოლიტიკური სისტემის კრიზისის ორ ფორმას განასხვავებს: რაციონალურობისა და ლეგიტიმაციის კრიზისს.



ჰაბერმასი თვლის, რომ საზოგადოებრივი სისტემის ყველა სტრუქტურული ცვლილება კრიზისად არ უნდა იქნეს გაგებული. როცა საზოგადოების წარმომადგენლები სტრუქტურულ ცვლილებებს კრიტიკულად აღიქვამენ, ანუ ეს ცვლილებები მათ სოციალურ ინდივიდებს დაემუქრება, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვიასაუბროთ ჩვენ კრიზისზე. ჰაბერმასი კრიზისის ტიპოლოგიას უკავშირებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კულტურულ სისტემას. მისი აზრით ეს სისტემები დამოიკიდებელია „input“-ზე და „output“-ზე. პოლიტიკურ სისტემას ევალუა ის რომ თავის მოქალაქეებს, რომლებიც ამ სისტემის წარმომადგენლები არიან, მაღალი დიფუზიური, მასობრივი ლოიალურობა მოუტანოს. ეს ჩატვირთული ლეგიტიმაციის „ბონუსი“ ანუ „input“-ი, მთავრობის გადაწყვეტილებებს ითრევს შიგნით. როგორც კი შეინიშნება „input“-ის ნაკლებობა, აქ უკვე საქმე გვექნება ლეგიტიმაციის კრიზისთან. ჰაბერმასი „output“-ის კრიზისს უწოდებს რაციონალურობის კრიზისს. დამამძიმებელი კრიზისი არის ლეგიტიმაციის კრიზისი, რადგან ის უშუალოდ იდენტიფიკაციის კრიზისია. მოტივაციის კრიზისი პირველ რიგში უკავშირდება სოციალურ-კულტურულ სისტემას: აქ ხდება ტრადიციების რღვევა და მასში ეჭვის შეტანა. გვიანდელი კაპიტალიზმი ქმნის „ახალ“ მოთხოვნებს, რომლის დაკმაყოფილებას მას არ ძალუძს. სახელმწიფოს მოქალაქეები თავიანთ პირად ცხოვრებაში იკეტებიან და უკან იხევენ.

იდენტიფიკაციის კრიზისი საფრთხეს პირდაპირ უქმნის სოციალურ ინტეგრაციას. არსებული პოლიტიკური სისტემის დე-ლეგიტიმაცია სახეზე გვაქვს მხოლოდ პოლიტიკური კრიზისის ამოხეთქვის შემთხვევაში.

გვიანდელი კაპიტალიზმის დამახასიათებელ კრიზისებს წარმოადგენდა შიდა საზოგადოებრივი კრიზისები. ეკონომიკური კრიზისი, როგორც ყოფილი ლიბერალ-კაპიტალისტური კრიზისი, სხვა ტიპის კრიზისმა შეცვალა. ჰაბერმასის აზრით, გვიანდელი კაპიტალიზმის საზოგადოებას მინიმუმ ერთი კრიზისი მაინც ემუქრება. მისთვის ამ კრიზისს ჰქვია ლეგიტიმურობის კრიზისი. ლეგიტიმაციის კრიზისს ჰაბერმასის აზრით იწვევს, უმოძრაო სოციალურ-კულტურული სისტემა, რომელსაც არ შეუძლია თავისუფლად და მოქნილად მოახდინოს რეაგირება ცვლად ფასიულებათა წარმოდგენებზე.

ლეგიტიმაციის დეფიციტის ბოლო ინსტანციას წარმოადგენს კლასობრივი სტრუქტურა. როგორც რაღაც დარენდორფმა მის მიერ გამოცემულ 1957 წლის წიგნში „სოციალური კლასები და კლასობრივი კონფლიქტი ინდუსტრიალ საზოგადოებაში“ ჩამოაყალიბა, კლასობრივი კონფლიქტი მაინც მიეწერა თანამედროვე საზოგადოების პრობლემას. ეს აზრი არ უშლის ხელს იმას, რომ სამომავლოდ კლასობრივი განსხვავებები კვლავ მოსალოდნელი იყოს.



5. ლეგიტიმაცია და დემოკრატია

აქ განასხვავებენ 3 ტიპის ლეგიტიმაციას

1. ლეგალურობა
2. ლეგალიზაცია
3. ლეგიტიმაცია

ლეგალურობა გაგებული უნდა იქნეს, როგორც მდგომარეობა, შედეგი პოლიტიკური სისტემისა ან ქმედებისა. მაგალითად ასეთი ქმედება ლეგალურია ანუ დასაშვებია. ხოლო სიტყვა ლეგალიზაცია უნდა გავიგოთ, როგორც პროცესი, რომელსაც შედეგად მოჰყვება ლეგალურობა.

60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების შუა ხანებისთვის იყო მცდელობა, რომ დაემარცხებინათ სტუდენტური მოძრაობის აღშფოთება. ამასთან დაკავშირებით 1975 წელს დუისბურგში წლის სხდომაზე გამოტანილ იქნა თემა ლეგიტიმაციურობის კრიზისი. ამ სხდომაზე თავისი კონტრ ვერსიები წარმოადგინეს იურგენ ჰაბერმასმა და ვილჰელმ ჰენისმა. მათი თეზისები ლეგიტიმაციასთან და დემოკრატიასთან დაკავშირებით შემდგომში მდგომარეობდა.

ვილჰელმ ჰენისმა, იმ დროისთვის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორმა, ფრაიბურგში გამართულ კონფერენციაზე გაიტანა რეფერატი თემაზე „ლეგიტიმაცია“. ჰენისმა მკაცრად გაილაშქრა იმ პროფესორების წინააღმდეგ, რომლებსაც ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნდათ. განსაკუთრებით კი ის გამოდიოდა ჰაბერმასის წინააღმდეგ. მისი აზრით, არ არსებობდა არანაირი საფუძველი იმისა, რომ იმდროინდელი საზოგადოება შეგვეფასებინა, როგორც ყველაზე კრიზისული პრობლემებით დატვირთული საზოგადოება. ჰენისი კრიზისზე ისაუბრებს მხოლოდ და მხოლოდ მასობრივი ემიგრაციის არსებობის შემთხვევაში.

ჰაბერმასს კი სულ სხვა პოზიცია უკავია, ამიტომ კონფერენციაზე ჰენისის წინააღმდეგ გამოდის. მან განაცხადა, რომ გვიანდელი კაპიტალიზმის დროს ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, საჭვოა იმაზე ფიქრი, არის კი საერთოდ შესაძლებელი გვიანდელი კაპიტალიზმის დროინდელი კრიზისის პირობებში ლეგიტიმურობის შექმნა? მისი აზრით ლეგიტიმაციის პრობლემები არ შეიძლება დაუკავშირდეს აუცილებლად თანამედროვე სახელწიფოს, მაგრამ ლეგიტიმაციის თემატიკას თან ახლავს სამოქალაქო სახელმწიფოს ფორმირება.

ლეგიტიმაცია ნიშნავს პოლიტიკური წესრიგის აღიარების უნარობას. ასეთი განმარტებით, წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ის, რომ ლეგიტიმაცია წარმოადგენს საკამათო დადგენილებას, რომლის მინიმუმ ფაქტობრივ აღიარებაზე დამოკიდებულია სახელმწიფო წყობის სტაბილურობა.

ჰაბერმასის აზრით, ლეგიტიმაცია არ წარმოადგენს სტატიკურ (უძრავ) მდგომარეობას. არ არსებობს არანაირი პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფო,



რომელიც თავისთავად ლეგიტიმურია. ლეგიტიმაცია ყოველთვის უნდა განახლდეს, გაუმჯობესდეს. მისი აზრით, სახელმწიფოს არაკომპეტენტური პოზიცია ექნება, ანუ თანამედროვე საზოგადოებაში ის გამოიყენებს ძალაუფლების მონოპოლიას არა მხოლოდ სიმშვიდისა და წესრიგის დასამყარებლად, არამედ აზრისა და პიროვნულობის წინააღმდეგ.

III. “კომუნიკაციური მოქმედების თეორია”

1. “მონსტრის” შესავალი:

1973 წელს გამოვიდა ჰაბერმასის “ლეგიტიმაციის პრობლემები გვიანდელ კაპიტალიზმში”. სადაც ჰაბერმასი ხატავს დასავლური საზოგადოების მეტად სკეპტიკურ სურათს, კერძოდ როგორც საზოგადოებას ხანგრძლივი პრობლემებით, ლეგიტიმაციის მზარდი მოთხოვნით და პერმანენტული კრიზისული მენეჯმენტით. ჰაბერმასის მიხედვით, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისები, საზოგადოებრივი კრიზისიდან წარმოიქმნებიან. ინდივიდუალურ-სუბიექტური კრიზისში მონაწილეობა მას უჩვენებს, რომ “ნორმატიული სტრუქტურების ძირითადი საფუძველი” გაუარესდა. ძველი იდენტობები (მაგალითად მუშათა კლასისადმი მიკუთვნებულობა, საიდანაც კლასობრივი ცნობიერება ყალიბდება), მნიშვნელობას კარგავენ, ახლებს კი ჯერ ღირებულება არ მოუპოვებიათ. იდენტიფიკაციის ამგვარი საშიშროებები, უცილობლად დაკავშირებულია მთლიან საზოგადოებრივ სტრუქტურულ ცვლილებებთან. კლასებს შორის კონფლიქტი, კლასებს შორის კომპრომისით გადაწყდა.

ჰაბერმასი ადგენს, რომ ლეგიტიმაციის და იდენტურობის ხანგრძლივი კრიზისი, საზოგადოების მხოლოდ სხვა საცხოვრებელ პირობებში და კომუნიკაციის ფორმებში შეიძლება დასრულდეს, რადგან ლეგიტიმაციის კრიზისის რადიკალიზაცია უმოძრაო სოციოკულტურულმა სისტემამ გამოიწვია. რამაც შეცვლილ ღირებულებებზე, წარმოდგენებზე იმოქმედა. ჰაბერმასის მიხედვით ის რომ საზოგადოებრივი შეთანხმებულობა



(კონსესუსი) არ დგება, ნაკლებადაა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვიდრე სოციოკულტურულ სისტემაზე დამოკიდებული.

როგორ არსებობენ ადამიანები თავიანთ საზოგადოებაში, რომელ ნორმებს და ღირებულებებს ატარებენ ისინი როგორც საზოგადოების წევრები, ამ კითხვით ჰაბერმასი უკვე 70-იანი წლების დასაწყისში დაკავდა. ეს მიდგომა მან მომავალში უფრო გააფართოვა.

1981 წელს გამოჩნდა ჰაბერმასის დიდი თეორია - “კომუნიკაციური მოქმედების თეორია”. მასში ჰაბერმასს ნათლად აქვს დასმული ახალი პრობლემატიკა. ამ თეორიამ ისეთი მაღალი შეფასება დაიმსახურა, რომ ჰაბერმასის ძველმა ნაშრომებმა უკანა პლანზე გადაიწიეს. პირველადი მაკროთეორიული ორიენტაცია აქ მიკრო და მაკრო თეორიების დაკავშირების ცდით გადაიჭრა, ჰაბერმასი საუბრობს მოქმედების და სისტემების თეორიაზე. “კომუნიკაციური მოქმედების თეორიის” ჩამოყალიბების პროცესში და თვითონ თეორიაშიც, ჰაბერმასი მიკროთეორიულ პრინციპებს ისე აგებს რომ მაკროთეორიული წყობა შეფარდებითია. საზოგადოების ანალიზს ემატება ენის და კომუნიკაციის თეორია და (სოციალური) ფილოსოფია.

ამ თავის მიზანია დღევანდელი “მეორე” ჰაბერმასის წარმოდგენა. ამ მეთოდში ჩანს რომ “პირველი” ჰაბერმასის განსხვავება იძულებითაა გამოწვეული. ზოგიერთ სოციოლოგიურ შესავალში ამაოდ ეძებენ იურგენ ჰაბერმასის მიდგომას, (მაგ. სოციოლოგიის სამუშაო ჯგუფი) ეს შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ მრავალი სოციოლოგის მიერ ჰაბერმასი მიღებულია როგორც ფილოსოფოსი და აღარ ხდებოდა მისი აზრების ციტირება. ამის საპირისპიროდ ამ თავში ის თვალსაზრისია დაცული, რომ ჰაბერმასი თანამედროვე სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთა შორისაა.

ეს თავი ორ თემაზეა კონცენტრირებული: პირველი არის შესავალი ორტომიანი “მონსტრის”, (ასე ჰაბერმასმა თვითონ უწოდა კომუნიკაციური მოქმედების თეორიას) და მასთან დაკავშირებული კვლევები. მეორეა ჰაბერმასის მეცნიერული და პუბლიცისტური კვლევები დასავლეთის



თანამედროვე საზოგადოებაზე. გაუთვალისწინებელი რჩება ზოგიერთი ფილოსოფიურად ორიენტირებული სტატია, ისეთები როგორცაა მაგალითად პოსტმოდერნიზმზე და მისი დისკუსიები სხვა ავტორების ნაწარმოებებთან, რომლებიც მრავალ ესეშია დოკუმენტირებული. 1992 წელს გამოქვეყნებული “ახალი ჰაბერმასი” “ფაქტიფიკაცია და ვალიდაცია” (Faktizität und Geltung), (HABERMAS, 1992) არ იქნება გათვალისწინებული. პირველ რიგში ავხსნით კომუნიკაციური მოქმედების თეორიის ძირითად მოსაზრებებს და აგებულებას.

“კომუნიკაციური მოქმედების თეორია” 2 ტომად გამოიცა, 1100 გვერდის მოცულობით საერთო ჯამში. მასთან დაკავშირებით კი 600 გვერდი სწავლებები და დასკვნები გამოქვეყნდა. უპირველეს ყოვლისა ძირითად მოსაზრებებზე :

“კომუნიკაციური მოქმედების თეორია” ეს არის ათ წლიანზე მეტი, ხანგრძლივი მუშაობისა და სხვა ფილოსოფიურ ტრადიციებთან თანამშრომლობის შედეგი. უკვე “სოციალურ მეცნიერებებთა ლოგიკაში” ჰაბერმასმა “კომუნიკაციური მოქმედების თეორიის” პროექტი წარმოადგინა. 70-ანი წლების ლექციებზე (HABERMAS, 1984. I) კომუნიკაციური მოქმედების თეორიას ხსნიდა, როგორც ყოველდღიური ენის კომუნიკაციის თეორიას. ჰაბერმასი უკვე აღარ ინტერსდება, სხვადასხვაგვარი კაპიტალისტური საზოგადოებების ფორმაციების შეზღუდვით (ლიბერალური_გვიანდელი კაპიტალიზმი), არამედ კაპიტალიზმის გარე განვითარებით. უკვე თვითონ სათაური “კომუნიკაციური მოქმედების თეორია” წარმოადგენს მნიშვნელოვან მიბრუნებას გვიანდელი კაპიტალიზმის თემატიკაზე. მოქმედების ცნება გულისხმობს ასევე ინდივიდუალურ ასპექტებს, ცნება კომუნიკაცია_ ინდივიდების ინტერაქციიდან. კომუნიკაციური მოქმედების თეორიის ძირითადი დებებულება კომუნიკაციის თეორიის კონსტრუქტშია, რომელიც ინდივიდების ყოველდღიური ინტერაქციითა და კომუნიკაციითაა დაინტერესებული. რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელობით სიმბოლური ინტერაქციონიზმით.



შემდგომი დებულება არის ახალი საზოგადოებრივი თეორიის მონახაზი_ რეკონსტრუქციების საშუალებებით. კომუნიკაციური მოქმედების თეორია მხოლოდ თეორია კი არაა თეორიის შესახებ, არამედ შეიცავს კრიტიკულ სოციალურ თეორიასაც. ჰაბერმას სურდა კრიტიკული სოციალური თეორიის ტრადიციების დამცველ ადორნოსა და ჰორკჰაიმერზე დაყრდნობა, როგორც ის ამის შესახებ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში განმარტავს. “კომუნიკაციური მოქმედების თეორია არ არის მეტათეორია, არამედ საზოგადოებრივი თეორიის დასაწყისი, რომელიც ცდილობს მისი კრიტიკული მასშტაბები გამორიცხოს. გაგებაზე ორიენტირებული მოქმედების საერთო სტრუქტურის ანალიზი მე არ მესმის, როგორც შემეცნების თეორიისა სხვა საშუალებებით გაგრძელება “ (HABERMAS, 1981). ამას თანამედროეობაზე მიმართული პოლიტიკური ინტერესები ემატება, რომლებიც მუდმივად თეორიულ ინტერესებს ერევა. ჰაბერმასი აღწერს „კომუნიკაციური მოქმედების თეორიის“ დაწერის მოტივაციას, სადაც ცხადი ხდება, თუ რამდენად ცენტრალურია ჰაბერმასისათვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებზე ორიენტაცია, და რა მძაფრია მისი ინტერესი გამოეყოს “დროის სულის” გამოვლინებებს. რაციონალიზაცია და გასაგნება ჰაბერმასისათვის თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ტიპური ტენდენციებია. (იხ.თავი5) მრავალრიცხოვანი პოლიტიკური და “პრაგმატული” საკითხების დასმის მიუხედავად “კომუნიკაციური მოქმედების თეორია”, როგორც ჰაბერმასი აცხადებს “უიმედოდ აკადემიური წიგნია” (HABERMAS, 1985 ს.184). ვალტერ რეზე-შეფერი ჰაბერმასზე დაწერილ კრიტიკაში მიუთითებს იმაზე, რომ “კომუნიკაციური მოქმედების თეორია” ტექსტის განსხვავებულ სახეობებს შეიცავს, რომელშიც თავდაპირველად კარგად გარკვევაა საჭირო. შესავლის დაკვირვებასა და ბოლო ნაწილის დაკვირვებას შორის, რომელშიც ჰაბერმასი მის განსაკუთრებულ პოზიციას ანვითარებს, ვრცელი თავებია, რომლებშიც ჰაბერმასი სხვადასხვა კლასიკოსებთან დისკუსიას აწარმოებს. მკითხველისათვის, რომელიც მთავარ აზრს ეძებს, მეტად მნიშვნელოვანია



ტექსტის სახეობებს შორის კარგად გაერკვეს და მნიშვნელოვანსა და ნაკლებ მნიშვნელოვანს შორის იერარქია შექმნას.

”კომუნიკაციური მოქმედების თეორია” არის საზოგადოების ახალი თეორიის მონახაზი, რომელსაც მეცნიერების და განსაკუთრებით სოციოლოგიის ისტორია იქითკენ მიყავს, თუ რამდენად შეუძლიათ მათ რომ “კომუნიკაციურ მოქმედების თეორიაში” თავიანთი წვლილი შეიტანონ. ამ წიგნში არის თავი სოციოლოგ კლასიკოსებზე- მაქს ვებერზე, ტალკოტ პარსონსზე, ემილ დიურკემზე და ა.შ. ამასთან ეს არაა მეორადი ლიტერატურა, არავითარი შიშველი თეორია თეორიის შესახებ, არამედ ამ თეორიების ჰაბერმასისეული შეფასება. ეს შეფასება აუცილებლად სელექციურია.

აქ არაა მცდელობა გაკეთდეს “რეკონსტრუქციის” რეკონსტრუქცია, ისე რომ, მაგალითად დიურკემის ჰაბერმასისეული ინტერპრეტაცია გადამოწმდეს. ამ თავმა მხოლოდ “კომუნიკაციური მოქმედების თეორიის” ძირითადი ცნებები და თეზისები უნდა განავრცოს და ამით “მეორე” ჰაბერმასის გაგება შესაძლებელი გახადოს. “კომუნიკაციური მოქმედების თეორიის” შინაარსობრივი აგებულება აქ მოკლედ იქნება აღწერილი.

კომუნიკაციური მოქმედების თეორიის პირველი თავი შეიცავს ქვესათურს “მოქმედების რაციონალობა და საზოგადოებრივი რაციონალიზაცია” (HABERMAS, 1981)ეს ქვესათური შესაძლებელია მთელი ნაწარმოების წამყვან აზრად მივიჩნიოთ: ჰაბერმასის დაპირისპირება რაციონალობის სხვადასხვა კონცეპტებთან და რაციონალიზაციის პროცესების ზეგავლენებთან, განსხვავებულ საზოგადოებრივ სფეროებში, არის სულ ცოტა ისე მნიშვნელოვანი, თუ არა უფრო მნიშვნელოვანი, როგორცაა თვითონ კომუნიკაციური მოქმედების ცნება. რაციონალიზაციის პრობლემატიკა, რომელსაც საზოგადოების თვითობის შეგნების ანალიზისთვის განიხილავს ჰაბერმასი მეორე თავში, მაქს ვებერის თეორიას ეყრდნობა. გარდა ამისა ჰაბერმასი აპირისპირებს სოციოლოგიური მოქმედების ტერმინებს ერთმანეთს და მათ პირდაპირ თავის ცენტრალურ, კომუნიკაციური მოქმედების ცნებასთან აყენებს. პირველ ტომში ჰაბერმასი,



შემდგომში განიხილავს მარქსს, ადორნოს და ასევე ენის თეორიული მხრით, ეგრეთწოდებული საუბრის აქტის თეორიითა და დაკავებული.

კომუნიკაციური მოქმედების თეორიის მეორე თავი შეიცავს ქვესათაურს, “ფუნქციონალური გონის კრიტიკას” (HABERMAS, 1981) ეს სათაური 1947 წელს გამოქვეყნებული მაქს ჰორკჰაიმერის “ინსტრუმენტალური გონის კრიტიკის” პერიფრაზირებაა.

ინსტრუმენტალური გონება ჰორკჰაიმერის მიხედვით მოდერნული საზოგადოებისათვის ტიპური, “გაყალბებული” გონებაა. ის რასაც დღეს გონება ჰქვია ჰორკჰაიმერისათვის მანიპულაციაა. მიზანრაციონალობის მითოსი ბატონობს.

აქ ჰაბერმასი დაწვრილებით განიხილავს, კომუნიკაციური მოქმედების თეორიის პერსპექტივიდან ჯორჯ მიდის და ემილ დიურკემს. ის მიდის იმ დასკვნამდე, მარტივად რომ ვთქვათ, რომ მიდის ინტერაქციონისტული და დიურკემის კოლექტიური თვალსაზრისი, და პარსონსის სისტემური თეორია არ არის ბოლომდე საკმარისი. ჰაბერმასი მიდის დასკვნამდე, რომ მოდერნის წინააღმდეგობა, როგორც ისინი ვებერმა შეიცნო, პარსონსის მიერ იგნორირებულია.

2. უნივერსალური პრაგმატიკა: კომუნიკაციის ძირითადი სტრუქტურები

როგორც უკვე აღინიშნა უფრო ახალ ჰაბერმასთან ეკონომიის საკითხები საზოგადოებრივი ნორმების სისტემის სასარგებლოდ უკანა პლანზე იწვევენ. ლუმანისაგან განსხვავებით მას აინტერესებს მორალისა და ნორმების ჩამოყალიბების საკითხები როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე. ასეთი პერსპექტივა კლასიკური კრიტიკული თეორიის გავლენის და ტალკოტ პარსონსის გარეშე წარმოუდგენელია. ნორმები და ფასეულობები აისახება ენაში, კომუნიკაციასა და ინტერაქციაში. სოციოლოგიასი ისინი, როგორც მაგალითად დიურკემთან (რომელიც ნორმებს “მორალურ ფაქტებად” აღწერს) ძირითად ცნებებს განეკუთვნებიან. მოქმედების ნორმატიულობა სოციოლოგიის ერთერთი კლასიკური პრობლემატიკაა (იხ ტომი I; ლექცია II).



ჰაბერმასისათვის საზოგადოებრივი ნორმები და კომუნიკაცია განსაკუთრებით მჭიდრო კავშირშია. (იხ.ტომიI; ლექციაIII) ამასთან თვალშისაცემია, რომ ის არამხოლოდ თეორიულ-ანალიტიკურად არის ნორმებით დაკავებული, არამედ მისი ანალიზები ნორმატიულადა ფორმულირებული. ჰაბერმასი განასხვავებს “კონკრეტულ” ღირებულებებს და ვალიდაციის “აბსტრაქტულ” მოთხოვნებს. “ყოფნა და ვალდებულება” (sein und sollen) სულ სხვაა ვიდრე ყოფნა და ვალიდაცია (Sein und Geltung). ვალიდაციის ქვეშ ჰაბერმასს ესმის კატეგორიები როგორცაა, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიმდიდრე, ჯანმრთელობა, სამართალი, ძალაუფლება და სიწმინდე. (HABERMAS, 1981 A342).

თავისი სწავლული მეგობრის და კოლეგის კარლ ოტტო აპელიზე (დაბ. 1922), ფრანკფურტი მაინზე უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, ჩრდილოამერიკული ენის თეორეტიკოსი ნოამ ჩომსკი (დაბ1928) და ეგრეთწოდებული მეტყველების აქტის თეორიის მამის ჯონ ოსტინის (1911_1960) და ჯონ სოერლიზე (დაბ1932) დაყრდნობით ჰაბერმასი ანხორციელებს “ლინგვისტურ მობრუნებას”. ენის თეორიასა და ფილოსოფიაზე დაყრდნობით ენისა და კომუნიკაციის კვლევას ჰაბერმასი თავის თეორიის ცენტრში აყენებს. ამასთან ენა მხოლოდ წინადადებების სისტემა კი არ არის (ანუ გრამატიკული და ლინგვისტური ფენომენი), არამედ მოქმედება: მეტყველების ქმედება ან მეტყველების აქტი. (ჰაბერმასი დასახელებული ლინგვისტების ტერმინოლოგიას იყენებს.)

ენა ჰაბერმასისათვის ორმაგი მედიუმია, სახელდობრ “გაგებინების მედიუმი და მოქმედების კოორდინირების და ინდივიდების საზოგადოებასთან ინტეგრაციის მედიუმი”. (HABERMAS, 1981 ბ:41). ენობრივი კომუნიკაცია განსაზღვრულ წესებთანაა დაკავშირებული. ამ წესებისათვის იგი ცნებას_ უნივერსალური პრაგმატიკა ირჩევს.

“უნივერსალურ პრაგმატიკას აქვს დავალება შესაძლებელი გაგებინების უნივერსალური პირობების იდენტიფიცირება და კონსტრუირება მოახდინოს. სხვა დამოკიდებულებებიდან საუბრობენ “კომუნიკაციის საერთო წინაპირობებზე”. მე ვსაუბრობ კომუნიკაციური მოქმედებების



საერთო წინაპირობებზე, რადგან გაგებაზე ორიენტირებული მოქმედების ტიპი ფუნდამენტურად მიმაჩნია. “ (HABERMAS, 1984. 353)

ენობრივი ქმედებები ეყრდნობიან სხვადასხვა სამყაროსა და რეალობის სფეროებს. ჰაბერმასი კარლ პოპერზე დაყრდნობით სამ სამყაროს გამოყოფს: ობიექტური, სოციალური და სუბიექტური სამყარო.

ობიექტური სამყარო არის ასე ვთქვათ გარემომცველი ბუნება, რომელსაც საზოგადოების წევრები აწყდებიან (გარს აკრავთ). ”ფაქტების ერთობლიობა“ (HABERMAS, 1981ა: 84). სამყარო რომელიც სისტემურ სიბრტყეს გარს ერტყმის, დაკვირვების მეთოდისთვისაა მიღებული.

სოციალური სამყარო არის ნორმების და ინტერაქციის სამყარო. ნორმატიული კონტექსტი ინტერაქციით დეფინირდება.

ობიექტურ და სოციალურ სამყაროს ერთად ჰაბერმასი აღწერს როგორც გარე სამყაროს.

სუბიექტური სამყარო ესაა საზოგადოების წევრების შიდა სამყარო. ის არის პირადი გამოცდილებების ერთობლიობა. რომელიც მხოლოდ მგრძნობიარე და აღმომჩენი ინდივიდუალისთვისაა დამახასიათებელი.

ენობრივი ურთიერთობები ყოველთვის სამყაროზეა (შიდა ან/და გარე სამყაროზე) დამოკიდებული. ჰაბერმასის მიხედვით, მას საფუძვლად უდევს ერთი მნიშვნელოვანი “მორალური” პრინციპი. ეს პრინციპი იქიდან გამომდინარეობს, რომ ყველგან სამყაროში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და საზოგადოებრივ კავშირებში დევს გონის იდეა. რომელსაც ჩვენი ენობრივი ურთიერთობები ემყარება – ვარაუდით, რომელსაც იგი “როგორც ძლიერ მტკიცებულებად” აღწერს.

ჰაბერმასი განასხვავებს ვალიდაციის სამ ან ოთხ მოთხოვნას: ჭეშმარიტება, სამართლიანობა, სიმართლე, გულწრფელობა, გასაგებობა. (HABERMAS, 1981ა: 376) ენობრივი ურთიერთობების ეს წესები ჰაბერმასისათვის უნივერსალურია.

ჭეშმარიტება ჰაბერმასისთვის მეტი არაფერია თუ არა შეთანხმებულობა, სიმართლე, და სინამდვილეში თანხმობა. (გამოთქმის გადაზომვა, დაზუსტება). სიმართლე და გულწრფელობა, გულახდილობა, მონაწილე



პიროვნებებს შორის. გაგება ვალიდაციის მოთხოვნის განსაკუთრებული ფორმაა, ის წინასწარ ვარაუდობს, გამოთქმა ზუსტად ისეთი ფორმით როგორც იქნა წარმოთქმული სწორად თუ მცდარად უნდა შეფასდეს. (მიღებულ იქნეს).

“გამოთქმის ჭეშმარიტებისათვის აუცილებელი პირობაა, სხვა დანარჩენების პოტენციური თანხმობა”. (HABERMAS, 1984:109)

კომუნიკაციის თეორიის წამყვანი თვალსაზრისი რომელიც ჰაბერმასმა 70იანი წლების დასაწყისში ჩამოაყალიბა, არის კომუნიკაციის ორმაგი სტრუქტურა. (HABERMAS, 1971: 106)

“ენობრივი ურთიერთობის წესები (ეგრეთწოდებული უნივერსალური პრაგმატიზმი) ან უბრალოდ მიმართებით ან უშუალოდ თემაზე კეთდება. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომუნიკაციასთან ვიწრო გაგებით, მეორე შემთხვევაში კომუნიკაციასთან კომუნიკაციაზე ეგრეთწოდებულ მეტაკომუნიკაციაზე, ანუ დისკურსზე. ვინაიდან ჰაბერმასის მიხედვით თანამედროვე საზოგადოებაში გაგება, შესაძლოა პირდაპირი კი არა არამედ მარტივ კომუნიკაციაზე იყოს გამიზნული, მეტაკომუნიკაციის ტექნოლოგიები მეტ მნიშვნელობას იძენს.”

იმ შემთხვევაში როდესაც, ენობრივი ურთიერთობის წესები კონკრეტულ თემაზე იგება, ჰაბერმასი დისკურსის ცნებას იყენებს. დისკურსში იგი მოიაზრებს ენობრივ ურთიერთობებში გაგების მომენტს, იმაზე თუ რომელი კომუნიკაციური მოქმედებები უნდა იყოს აქცენტირებული.

“დისკურსზე მე მსურს მხოლოდ მაშინ ვისაუბრო, როდესაც ვალიდაციის მოთხოვნების აზრი კონცეპტუალურად დაქვემდებარებას მოითხოვს. ძირითადად რაციონალურად მოტივირებული და გაგებაზე შეიძლება გაიმიზნოს, სადაც ძირითად იდეალიზებულ პირობას გამოხატავს: როდესაც არგუმენტაცია მხოლოდ იშვიათადაა საკმარისად დასაბუთებული და დიდხანს საკმარისად გაგრძელებული.” (HABERMAS, 1981 ა:71)

დისკურსი მაგალითად მაშინ იმართება როდესაც მე მოსაზრებას ირონიულად მივიჩნევ, ამ საუბრის ფორმის არაგულწრფელად მიჩნევა არ მინდა, ამიტომაც თავდაპირველად ვეთანხმები და შემდეგ ვთავაზობ



წინადადებას რომ უფრო გულწრფელად ისაუბროს. ამ მიზნით ვითხოვ მე ვალიდაციის მოთხოვნიდან ჭეშმარიტებას/ სიმართლეს.

როდესაც აქტორები (მონაწილეები), ურთიერთობის დისკურსიულად გაგებამდე მიდიან, ამას ჰაბერმასი კონსესუსს უწოდებს “კონსესუსი კრიტიკული ვალიდაციის მოთხოვნების ინტერსუბიექტური აღიარებაა”. (HABERMAS, 1981 ა:37)

მუშაობა გაგებულია როგორც მიზანრაციონალური მოქმედება (იხილეთ აქვე ნაწილი 3). “კომუნიკაციური მოქმედების თეორიაში” ის “ინტერაქციის სასარგებლოდ შევიდა, გაგებული როგორც კომუნიკაციური მოქმედება. ახალი ჰაბერმასის მთავარი პუნქტი კომუნიკაციურად კომპეტენტური ინდივიდია.

თვალსაჩინოება:

უნივერსალურ პრაგმატული ენობრივი მოდელი (HABERMAS, 1984:440)

რეალობის სფეროები	რეალობის მიმართების გამოვლენის ფორმები	ვალიდაციის იმპლიციტური მოთხოვნები	ენობრივი მოქმედების საყოველთაო ფუნქცია
გარე სამყარო	ობიექტურობა	ჭეშმარიტება/სიმართლე	საქმის ვითარების წარმოდგენა
საზოგადოება	ნორმატიულობა	სისწორე	ინტერპერსონალური ურთიერთობების წარმოება
შიდა სამყარო	სუბიექტურობა	სინამდვილე	სუბიექტური მოვლენების ექსპრესია
ენა	ინტერსუბიექტურობა	გასაგებობა

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ აქ ციტირებული ჰაბერმასის ჰიპოთეზები მეტად მრავლის მომცველია და “კომუნიკაციური მოქმედების თეორიის” საერთო კონცეფციებზე აქვთ ზეგავლენა. ადამიანის მისეული სურათი იმით განისაზღვრება რომ ადამიანები სოციალიზაციის პროცესში აქტიურ,



(ენობრივად) მოქმედ სუბიექტებად ყალიბდებიან, სულ ცოტა პოტენციურად გონიერები არიან და უნივერსალური პრაგმატიზმის წესების შესაბამისად მოქმედებენ. დიდი მნიშვნელობა, რომელიც არა მხოლოდ ვალიდაციის ასპექტებს არამედ ვალიდაციის მოთხოვნებს აქვს ჰაბერმასისთვის, ნათელს ხდის როგორ აბსტრაქტიზაციებს და იდეალიზაციებს მიმართავს ჰაბერმასი კომუნიკაციის მიმართ. ყოველდღიურობის კრიტიკულ აღქმაში ჩნდებიან კომუნიკაციური შეფერხებები. ცხოვრების სხვადასხვა სფეროების (მაგ. ქალების და მამაკაცების) არსებობა, ირონიულის გავრცელება გულწრფელი მეტყველების (წერის) ნაცვლად და ასე შემდეგ ახლანდელი სინამდვილის უფრო რეალისტურ სურათს გვაძლევს ვიდრე ჰაბერმასის იდეალური სამეცნიერო სიტუაციები. ჰაბერმასისთვის გონიერება და კომუნიკაციური რაციონალობა, უნივერსალური პრაგმატიზმის და მთელი თეორიის ყოვლისმომცველი საფუძველია.

“კომუნიკაციური მოქმედების თეორია” ამ ძირითად მოსაზრებებზეა დამოკიდებული.

3. კომუნიკაციური მოქმედება როგორც სოციალური მოქმედების ‘მეგატიპი’

კომუნიკაციური მოქმედების ცნება ჰაბერმასის ახალი ძირითადი ცნებაა. (HABERMAS, 1981b: 304)

ეს ცნება და მისი განსაზღვრებები, სხვა მოქმედების ცნებებთან მიმართებაში, კომუნიკაციური მოქმედების თეორიის I ტომის 3 მონაკვეთში (“სამყაროსთან მიმართებები და რაციონალობის ასპექტები, მოქმედების ოთხ ცნებაში” HABERMAS, 1981 ა) და განმარტებები კომუნიკაციური მოქმედების ცნებაზე”-ში (HABERMAS, 1984; 571_606) განიხილა. მოკლე დასკვნა მოქმედების ცნებებთან დაკავშირებით არის ასევე ენტონი გიდენსზე რეპლიკაში (იხ. ლექცია 11)

მოქმედების სოციალურ მეცნიერებათა ტიპები არის როლების თეორიის, ინდივიდუალური (იხ. ლექცია 5) და ინტერპრეტაციული პროგრამების საგანი. ჰაბერმასი ამ განსხვავებულ ტიპებს აღწერს, განიხილავს და გვაწვდის მოქმედების ცნების ასე ვთქვათ კომპრომირებულ მიმოხილვას



სხვადასხვა თეორიულ კონტექსტში. ამას გარდა ის აფართოებს ვებერის სოციალური მოქმედების კონცეფციას. (იხ. ტომი I სტატია 2)

ჰაბერმასი განასხვავებს მოქმედების 4 ტიპს: ტელეოლოგიურს, ნორმატიულს, დრამატურგიულს და კომუნიკაციურ მოქმედებას. ისინი განსხვავდებიან როგორც იდეალურ ტიპები შესაბამისი ვალიდაციის მოთხოვნებით და სამყაროსთან მიმართებით. ამის გარდა მათ განსხვავებული ენობრივი და სუბიექტური კონცეფციები უდევთ საფუძვლად.

ეგრეთწოდებული ტელეოლოგიური მოქმედება, მიზანმიმართული მოქმედებაა. ის ძირითადად მიზანრაციონალურია, ან/და წარმატებაზე ორიენტირებული. თუ მიზანრაციონალური მოქმედება ფაქტებზეა დამოკიდებული, ანუ ობიექტური სამყაროს სფეროებზე, ის ინსტრუმენტულია, თუ დამოკიდებულია სოციალურ სამყაროს პროცესებზე, მაშინ სტრატეგიულია. ანუ ტელეოლოგიური მოქმედება თავის მხრივ ინსტრუმენტალურ და სტრატეგიულ მოქმედებებად იყოფა. მოქმედების ამ ტიპს ვალიდაციის მოთხოვნა სიმართლეზე/ჭეშმარიტებაზე უდევს საფუძვლად. ის სოციოლოგიის ინდივიდუალისტური პროგრამისთვისაა პროტოტიპული. (იხ. ლექცია5).

ნორმატიული მოქმედება ეყრდნობა სოციალურ სამყაროს და აქვს სიმართლის, სისწორის მოთხოვნა, ეს მოქმედების ტიპი პარსონსის თეორიიდანაა ნასესხები. ის ცნობილი გახდა როლურ თეორიასთან კავშირში.

დრამატურგიულ მოქმედებას ჰაბერმასი უწოდებს ირვინ გოფმანზე პირდაპირი დაყრდნობით (იხ. ლექცია5) ისეთ მოქმედებას, რომელიც გულახდილობას ითხოვს და აქტორების პირად შინაგან სამყაროზეა მომართული.

პირველი სამი მოქმედების ტიპს (ტელეოლოგიური, ნორმატიული და დრამატურგიული მოქმედებები) ჰაბერმასი ხსნის როგორც მიზანრაციონალური მოქმედების განსხვავებულ ფორმებს. ისინი მისი



აზრით მოქმედი ინდივიდების სინამდვილის მხოლოდ მონაკვეთებს მოიცავენ და ამიტომ საკმარისი არ არიან.

ამ სამი დეფიციტური მოქმედების ტიპიდან , კომუნიკაციური მოქმედება იკვეთება, როგორც გაგებინებაზე ორიენტირებული მოქმედება, რომელიც სამივე სამყაროზეა მიმართული. “კომუნიკაციური მოქმედება ეყრდნობა ახსნის პროცესს, რომლის მონაწილეებიც რაღაცაზე ობიექტურ, სოციალურ და სუბიექტურ სამყაროში არიან ერთდროულად მიმართული. მაშინაც კი, როცა მათ გამოხატულებებში თემატურად მხოლოდ ერთია ამ სამი კომპონენტიდან წინწამოწეული. გაგებინება ნიშნავს კომუნიკაციაში მონაწილეთა გაერთიანებას რაიმე გამოხატულების მოქმედუნარიანობის შესახებ. (HABERMAS, 1981 ბ: 184).

ჰაბერმასი საუბრობს კომუნიკაციის აქტებზე: ისინი აუცილებლად ენასთან არ არიან დაკავშირებულნი. სამეტყველო მოქმედებებს, ასევე “ეკვივალენტურ არავერბალურ გამოხატულებებს (ასე მაგ. თავის ქნევა), ის განსაზღვრავს როგორც კომუნიკაციურ აქტებს. (შდრ. HABERMAS, 1981 ა: 376).

კომუნიკაციური, გაგებაზე ორიენტირებული მოქმედება აქტორებისგან მოითხოვს დიდი მოცულობით რეფლექსურობას და დისტანცირებას, შესაბამისად დიალოგისას, არ უნდა მოხდეს აპელირება ისეთ მაღალ ინსტანციებზე, როგორებიცაა ტრადიცია, რელიგია ან ავტორიტეტი. აქ ითვლება მხოლოდ “უკეთესი არგუმენტი” ან “კარგი მიზეზები” რომლებიც ინტერსუბიექტურად უნდა იქნეს აღიარებული.

კომუნიკაციური მოქმედება, ესაა პროტოტიპული ინტერსუბიექტური მოქმედება. ის არ არის სტრატეგიული, არ არის წარმატებაზე ორიენტირებული, და ამასთან მონაწილეთა ერთობლივ მიზანს გამოკვეთს. ეს მიზანი არის გაგებინება.

კომუნიკაციური მოქმედება არის ისეთი მოქმედება, რომლის დროსაც მთავარია მოქმედი პირების მოქმედების კოორდინირება :

“მე ვსაუბრობ კომუნიკაციურ მოქმედებებზე, როცა მონაწილე აქტორების მოქმედების გეგმები კოორდინირებულია არა ეგოცენტრულ წარმატებაზე,



არამედ გაგებინების აქტებზე. კომუნიკაციურ მოქმედებაში მონაწილენი ცალკეულ წარმატებაზე არ არიან ორიენტირებულნი. ისინი მიჰყვებიან თავიანთ ინდივიდუალურ მიზნებს იმ პირობით, რომ ისინი თავიანთი მოქმედების გეგმებს, სიტუაციის საერთო დეფინიციის საფუძველზე მიმართავენ. შესაბამისად სიტუაციის დეფინიციის შეთანხმება არსებითი შემადგენელი ნაწილია კომუნიკაციური მოქმედებისთვის საჭირო ინტერპრეტაციის განხორციელების.” (HABERMAS, 1981)

მოქმედების ტიპები (HABERMAS, 1981)

ქმედებაზე ორიენტაცია / სიტუაცია	წარმატებაზე ორიენტირებული	გაგებნებაზე ორიენტირებული
არასოციალური	ინსტრუმენტული მოქმედება	----
სოციალური	სტრატეგიული მოქმედება	კომუნიკაციური მოქმედება

საერთო მიზანი, რომელსაც კომუნიკაციური მოქმედების ყველა მონაწილე მიჰყვება, გაგებინებაა. ზუსტად რომ ვთქვათ “გაგება” არის მიზანი ან განზრახვა, მაგრამ ჰაბერმასი გაგებას განიხილავს, როგორც განზრახვისგან თავისუფალ მიზანს. გაგებინების პროცესი მიზანი თავისმხრივ არის თანხმობა: ეს ჰაბერმასის მიხედვით დამყარებულია საერთო, ერთობლივ დარწმუნებაზე.

“გაგების პროცესები გამიზნულია ურთიერთგაგებაზე, რომელსაც რაციონალურად მოტივირებული თანხმობის პირობები აქვს. შესაძლებელია ურთიერთგაგება ობიექტურად მაიმულელებელი იყოს. მაგრამ არც ნათლად გარეგნული გავლენის ან ძალაუფლების გამოყენება ხორციელდება. სუბიექტური არ შეიძლება ურთიერთშეთანხმებულად ჩაითვალოს.



ურთიერთგაგება ემყარება საერთო რწმუნებულებებს”. (HABERMAS, 1981 ა: 38)

კომუნიკაციური მოქმედების განსაკუთრებული პოზიციის მიუხედავად, მოქმედების ტიპები ერთმანეთისგან ერთმნიშვნელოვნად არ იმიჯნებიან. მართალია კომუნიკაციური მოქმედება “მეგატიპია”, მაგრამ ის სინამდვილეში სხვა მოქმედების ფორმების ნაწილებსაც შეიცავს. კომუნიკაციური მოქმედების ეგრეთწოდებულ სასაზღვრო შემთხვევებად მიიჩნევენ კონვერსაციას, ნორმატიულ და დრამატურგიულ მოქმედებებს. კომუნიკაციური მოქმედება კონსენსუსთანაა ახლოს.

“კომუნიკაციური მოქმედებისთვის მხოლოდ ისეთი სამეტყველო მოქმედებებია გადამწყვეტი, რომლებთანაც მასაუბრე აკავშირებს მოთხოვნებს ვალიდაციაზე“ (HABERMAS, 1981 ა:410)

კომუნიკაციური მოქმედება, სხვა ყველა მოქმედების ფორმაზე აღმატებული ფორმაა, როგორც მას ვებერი, შუტცი, ლუმანი და სხვები აკონსტრუირებენ, ანუ “მეგატიპია” სოციალური მოქმედებისა. კომუნიკაციურად მოქმედი ადამიანები, თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებებში არა მხოლოდ რეფლექსურები და კონსტრუქციულები არიან, აკონსტრუირებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ სინამდვილეს, არამედ ისინი ცვლიან და აუმჯობესებენ მას ყველაფერთან ერთად. ეს კი შემდეგნაირად ხდება, ადამიანები დისკუსიას და კამათს მანამდე აგრძელებენ, ერთმანეთში არგუმენტებს ცვლიან, სანამ ურთიერთშეთანხმებას არ მიაღწევენ. ამ ურთიერთშეთანხმებულობაში უფრო მეტად ერთობა ჭარბობს. კავშირი მოქმედების ხელოვნებს, ვალიდაციის მოთხოვნას და სამყაროს მიმართებებს შორის შემდეგი სქემიდან ჩანს.



მოქმედების ტიპი	ვალდაცვის მოთხოვნა	სამყაროსთან მიმართება
ტელეოლოგიური მოქმედება	სიმართლე	ობიექტური სამყარო
ნორმატიული მოქმედება	სისწორე	სოციალური სამყარო
დრამატურგიული მოქმედება	გულწრფელობა	სუბიექტური სამყარო
კომუნიკაციური მოქმედება	გაგებინება	რეფლექსიური მიმართება „სამივე სამყაროზე“

ჰაბერმასი ასკვნის, რომ კომუნიკაციური მოქმედების ტიპი თავისთავად ნორმატიულია. გაგებინება ნორმატიული ტერმინია, და არა ემპირიული ფაქტი. ამიტომ ის დარწმუნებულია შესაძლებლობაში რომ კომუნიკაციური რაციონალობა რეალიზებადი გახდება. (იხ. ნაწილი 5).

ჰაბერმასის იდეალი წარმოდგენა, არგუმენტირებული მეტყველების მოდელზეა ორიენტირებული, ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ არსებობს რაციონალური გაგებინება, რომელიც უფრო მეტია ვიდრე ინდივიდუალური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება.

საზოგადოებრივი სინამდვილე, ჰაბერმასის მიხედვით, იდეალური ენობრივი სიტუაციაა და კომუნიკაციური შეფერხებების საფუძველზე განიხილება. ჰაბერმასი ხსნის კომუნიკაციის შეფერხებებს. “ სისტემატიურად გამანადგურებელი კომუნიკაცია” “ხდება მაშინ “როდესაც მეტყველების შიდა ორგანიზაციაა დარღვეული”. (HABERMAS, 1984. 252). როდესაც მაგალითად ვინმე ტავის მოქმედებას სტრატეგიულად აღძრული გრძნობებით წარმართავს.

კომუნიკაციურ მოქმედებასა და ეგრეთწოდებულ აქტორების ცხოვრებისეულ სამყაროს შორის მჭიდრო კავშირია, კომპლემენტური დამოკიდებულებაა:



„კომუნიკაციური მოქმედება მიმდინარეობს ცხოვრების იმ სამყაროში, რომელიც კომუნიკაციის მონაწილეთა ზურგსუკან რჩება. ეს მათთვის მხოლოდ პრერეფლექსური ფორმით და მიამიტურად შეძენილი უნარებით არის წარმოდგენილი“ (HABERMAS, 1981ა: 449).

4 საზოგადოების ორსაფეხურიანი მოდელი: ცხოვრებისეული სამყარო და სისტემა

ცხოვრების სამყაროს ცნება, ერთერთი ცენტრალურია როგორც კლასიკურ ასევე თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიებში. ის ეგრეთწოდებულ ინტერპრეტაციული პროგრამების საფუძველია. ედმუნდ ჰუსერლისათვის ცხოვრების სამყარო გამოცდილი მეცნიერული და არამეცნიერული ცხოვრებაა, ალფრედ შუტცთან კი ის მოაზრებულია როგორც ჩვეულებრივი, ყოველდღიური რეალობა. (იხ. ლექცია 6)

ჰაბერმასი ამ ფენომენოლოგიურ ტრადიციას ჯერ კიდევ თავის ადრეულ შრომებში ანვითარებს. ასევე “გვიანდელი კაპიტალიზმის ლეგიტიმაციის პრობლემებში” ერთ-ერთი მონაკვეთი ატარებს სათაურს “სისტემა და ცხოვრების სამყარო”. სადაც ჰაბერმასი განიხილავს სოციალურ და სისტემების ინტეგრაციის დამოკიდებულებას. მისი ფართო მიკროთეორიული თვალთახედვიდან ცხოვრების სამყაროს კონცეპტი მეტად მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს. “კომუნიკაციური მოქმედების თეორიის” მეორე ტომშიც ის დაკავებულია “სისტემის და ცხოვრების სამყაროთი”. (HABERMAS, 1981 ბ:173_293). ჰაბერმასის პრიორიტეტი აქ უცილობლად მეორე ცნებაში_ ცხოვრების სამყაროში დევს. ის ასახელებს და აკრიტიკებს იმგვარ მიდგომებს, რომლებიც სოციოლოგიაში და ფსიქოლოგიაში ცხოვრებისეული სამყაროს კონცეპტს იყენებენ და ანვითარებენ.

ცხოვრებისეული სამყარო ჰაბერმასისთვის არის ის, რაც მოქმედი ინდივიდების მიერ ყოველთვის მიღებულია როგორც თავიანთი მოქმედების უკანა ფონი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არაცნობიერად. ცხოვრების სამყარო ჩვენი სოციალური წარმოშობის კონგლომერატია, ჩვენი ადრინდელი და ახლანდელი ჯგუფური მიკუთვნებულობის (როგორც ფორმალურ ისე



არაფორმალურ საფუძველზე) ჩვენი ძველი და ახლანდელი გარემოცვის. კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის წევრები, მიუხედავად მათი ასაკისა და სქესისა, ერთი და იგივე ცხოვრების სამყაროს წევრები არიან. ამ ცხოვრების სამყაროდან იღებენ ინდივიდები რესურსებს თავიანთი ქმედებებისთვის და გარკვეულ შემეცნების დონეს. (შდრ. Schutz und Berger/Luzkmann)

“სოციალური კოლექტივები ჩვეულებისამებრ ინაწილებენ ცხოვრების სამყაროს” (HABERMAS, 1985 ა: 185) ისინი ადგენენ ძირითად მზაობებს და დამოკიდებულებებს.

ჰაბერმასის მიხედვით, ცხოვრების სამყაროს პარადოქსული ხასიათი აქვს, ცხოვრების სამყაროს ცოდნით მოქმედი დარწმუნებულნი არიან იმდენად რამდენადაც ისინი ამის თემატიზირებას და პრობლემატიზირებას არ ახდენენ. დისკურსში შესვლით მოქმედი ინდივიდები ცხოვრების სამყაროს სიცხადიდან გამოდიან, რომელთანაც ისინი ურთიერთობის დიალოგს აწარმოებენ, სიტუაციის რეკაპიტულაციას ახდენენ და ასე შემდეგ. ცხოვრების სამყარო ამასთან იქმნება საზოგადოების ფუნდამენტური სოციალური ინტეგრაციით, რადგან მათი ძირითადი ქმედებები ორიენტირდებიან და კოორდინირდებიან.

ამგვარად ჰაბერმასისათვის ცხოვრების სამყარო ეს არის ცხადი, კითხვას დაუქვემდებარებელი კომუნიკაციური მოქმედების საფუძველი. ცხოვრების სამყაროს ცნება არის კომუნიკაციური მოქმედების დამასრულებელი ცნება:

“ცხოვრების სამყაროს კატეგორიას აქვს სხვა სტატუსიც, მანამდე მოქმედი ფორმალური სამყაროს კონცეპტებისა. ისინი ვალიდაციის კრიტიზირებულ მოთხოვნებთან ერთად ქმნიან მარაგს, რომელიც იღწვის იმისათვის, რომ პრობლემატური, ანუ ერთგვაროვნებას მოკლებული სიტუაციები შინაარსობრივად ინტერპრეტირებად ცხოვრების სამყაროს დაუქვემდებარონ. ცხოვრების სამყაროსთან სხვა წესრიგი დაუშვებელია, მათი დახმარებით მოსაუბრეს და მსმენელს შეუძლიათ რაიმე ინტერსუბიექტურს დაემყარონ. კომუნიკაციურად მოქმედი თავიანთი



ცხოვრების სამყაროს ჰორიზონტის ფარგლებში ლავირებენ. მის გარეშე ვერ გამოვლენ”. (HABERMAS, 1981 ბ: 191p)

შემდეგ ჰაბერმასი მართებულად აკავშირებს ცხოვრების სამყაროს ცნებას ენობრივი გაგებინებისა და ინტერსუბიექტურობის კონცეპტებთან:

“ცხოვრების სამყაროს სტრუქტურები განსაზღვრავენ შესაძლო გაგებინების ინტერსუბიექტურობის ფორმებს”. (HABERMAS, 1981 ა:192).

ჰაბერმასისთვის საზოგადოების კომუნიკაციური შესაძლებლობები ცხოვრებისეულ სამყაროშია ,დაცული‘:

“ცხოვრებისეული სამყარო ინდივიდებისათვის ცხადი საფუძველია კომუნიკაციური მოქმედებისათვის და ამით გაგებინების მთავარი საფუძველიც. ის არის ადგილი, სადაც სოციალური ჯგუფის თვითრეპროდუქცია და თვითინტერპრეტაცია ხდება. ცხოვრების სამყარო ჰაბერმასისათვის გაგებინების პროცესებზეა ცენტრირებული.” (HABERMAS, 1981 ბ:483)

ჰაბერმასის მიხედვით ცხოვრების სამყაროს კონცეპტი ახდენს მოქმედების თეორიის შეერთებას საზოგადოების თეორიასთან.

„მხოლოდ ცხოვრების სამყაროს კონტექსტის მაწარმოებელ ჰორიზონტზე მიბრუნებით იცვლება თვალთახედვა ისე, რომ მოქმედების თეორიის საზოგადოების თეორიასთან შეერთება ხდება ცხადი: საზოგადოების კონცეპტი კომუნიკაციური მოქმედების კომპლემენტარულ ცნებას, ცხოვრების სამყაროს კონცეპტს უნდა დაუკავშირდეს“ (HABERMAS, 1981 ა:452)

საზოგადოებრივი თეორიის ორსაფეხურიანი მოდელით, რომელიც სისტემას და ცხოვრებისეული სამყაროს პერსპექტივებს აერთიანებს, ყოველთვის შესაძლებელია სოციალურ ფენომენებსა და პროცესებზე ორი მხრიდან დაკვირვება, რასაც ჰაბერმასი „საჯარო საზრისის“ მაგალითით ხდის ნათელს. საჯარო საზრისი როგორც წესი ნორმატიულად ან ემპირიულად შეისწავლება:

“...ფაქტობრივად ორივე შეხედულება მასობრივი დემოკრატიის მხოლოდ ერთ ასპექტს მოიცავს. პარტიების კონკურენციაზე წარმოქმნილი ნების



ფორმირება ორივეს რეზულტატია: ერთი მხრივ კომუნიკაციური ღირებულებებისა და ნორმების ფორმირების პროცესის გავლენა, მეორე მხრივ პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციის ნაკადი”. (HABERMAS, 1981 ბ: 509)

ხოლოდ ამ ორი პერსპექტივის კავშირი განაპირობებს გაწონასწორებულ და ყოვლისმომცველ ანალიზს.

კომუნიკაციური მოქმედების თეორიაში სისტემების ცნება ცხოვრების სამყაროს ცნების უკანა პლანზე გადადის. სისტემები ჰაბერმასისთვის ის სფეროებია, სადაც მიზანრაციონალური მოქმედება ისეთ კულტურაში ხდება, როგორცაა მაგ. წარმოება (ორგანიზაცია).

ცხოვრების სამყაროში სისტემის შეჭრა ჰაბერმასისთვის თანამედროვე დასავლელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშანია. ის აქ სისტემურ იმპერატივებზე საუბრობს, რომლებიც ინდივიდების ქმედების სხვადასხვა სფეროებში იჭრებიან.

ჰაბერმასის მიხედვით თავდაპირველად ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაცია სამოქალაქო – კაპიტალისტური საზოგადოების მოდერნიზაციის სრულიად ნორმალურ პროცესს წარმოადგენდა. ჰაბერმასი ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაციას უპირველეს ყოვლისა დადებითად აფასებს. თანამედროვე საზოგადოებაში ამ პროცესს შეუძლია საეკუთარი დინამიკას გაღვივება. ამაშინ ის, ჰაბერმასის მიხედვით, დაუსრულებელია :

“ჩვენს წინაშე კითხვა ჩნდება შემდეგი ფორმით, გადაიქცევა თუ არა ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაციის გადასვლა თანამედროვე საზოგადოებაზე პარადოქსად?: რაციონალიზირებული ცხოვრების სამყარო სუბსისტემების წარმოქმნისა და ზრდის შესაძლებლობას ქმნის. რომელთა დამოუკიდებელი იმპერატივები მასზევე მოქმედებენ დესტრუქციულად.

ბოლოს დგას, როგორც მას ჰაბერმასი უწოდებს, ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზება, ანუ ცხოვრებისეული სამყაროს სისტემაზე და სისტემურ იმპერატივებზე დაქვემდებარება. ის ვლინდება (მანიფესტირდება)



“პირველ რიგში საზრისის დაკარგვის, ანომიის და პერსონალური პრობლემების გამოვლინებებში” (HABERMAS, 1984 : 565)

ცნების გამიჯნისთვის (განსაზღვრისათვის) მისი ჩვეულებრივი გაგებისგან, როგორც გარე კოლონიალიზაცია, (უცხო ხალხების) (იხ. ვალერშტეინი) ან ქალების, ის მას აღწერს როგორც შიდა კოლონიალიზაციას: ეს კოლონიალიზაცია ცხოვრებისეული სამყაროში მიმდინარეობს. შიდა კოლონიალიზაცია საფრთხეს უქმნის ცენტრალური ცხოვრებისეული სამყაროს გაგებინების პროცესებს. ცხოვრების ფორმები დამოუკიდებელი ხდებიან, ერთსულოვანი დამოკიდებულება ცხოვრებაზე ქრება:

“სისტემისა და ცხოვრების სამყაროს შორის მდებარე ფრონტის ხაზი იძენს ამით სრულიად ახალ აქტუალობას. დღეს მედიის მეშვეობით ფული და ძალაუფლება ეკონომიკასა და მმართველობასთან იყოფენ ბრძანებლობას სფეროების მიხედვით, რომლებიც მაშინვე ფუჭდებიან, თუკი გაგებაზე ორიენტირებულ მოქმედებას ჩამოაცილებენ და გარკვეულ მედიის მართულ ინტერაქციას დაუქვემდებარებ. ეს არის პროცესები რომლებიც კლასების ანალიზის სქემას კი აღარ ერგებიან, არამედ შეიძლება უჩვენონ , რომ ფუნქციური დამოკიდებულება არსებობს ცხოვრების სამყაროს ძირეული მხარეებიდან წამოსულ კონფლიქტებსა და კაპიტალისტური მოდერნიზაციის ფუნქციის მოთხოვნილებებს შორის.” (HABERMAS, 1985 ა: 189).

ცხოვრების სამყაროს ცნება კერძო, იდილიური საკითხია რასაც ჰაბერმასი ხშირად უწევს ანგარიშს. მისი “ცხოვრების სამყარო” გვაგონებს ყოველდღიურ პრაქტიკას. რომელიც უფრო კომუნიკაბელური უნდა იყოს, ვიდრე საზოგადოების „ნარჩენი“ ვიდრე სისტემა. კომუნიკაციური რაციონალობის თეორიაში ცხოვრებისეული სამყარო “ახალ რაციონალურ ადგილს” იკავებს.

მისი დისკუსიით მაქს ვებერთან ჰაბერმასი ამუშავებს საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლილებას/გარდაქმნას რაციონალიზაციის პერსპექტივიდან. რაციონალიზაციის ცნების ინტერპრეტაციის შეცვლა და მოდერნიზაციისა და რაციონალიზაციის პროცესების შემდგომი განვითარება, მომდევნო თავის თემაა. სისტემის და ცხოვრების სამყაროს დამოკიდებულება, მათი



ისტორიული ცვლილებები და გაცვლითი ურთიერთობები მათ შორის აქ კვლავ გამოიკვეთება. კომუნიკაციური რაციონალობის ცნებაში, ამასგარდა, შედის კომუნიკაციის თეორიული მოსაზრებებიც.

5. ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაციისა და კოლონიალიზაციის დიალექტიკა

ყოველდღიურ ენაში “რაციონალურს” “ემოციურის” საპირისპიროდ იყენებენ. ემოციურობა თავის მხრივ მოიაზრება ირაციონალურობად. ის ითვლება როგორც ჩამოუყალიბებელი და არასანდო. რაციონალობა მოდერნის პრინციპად ითვლება: რაციონალური გადაწყვეტილებები არის გაგებაზე ორიენტირებული, დაგეგმილი, გონიერი, წინდახედული, და პრობლემების გადამჭრელი. რაციონალობა ქვევის წესის ეკონომიკური და მორალური პრინციპია.

სოციოლოგიაში რაციონალობა საყოველთაო დეფინიციის მიხედვით არის ორიენტაციის მნიშვნელოვანი პრინციპი ინდივიდუალური და სოციალური მოქმედებისთვის. რაციონალობის სოციოლოგიური “დისკურსი” მაქს ვეერმა დააფუძნა.

რაციონალიზაციის ქვეშ ესმით – ვიწრო ინდუსტრიულსოციოლოგიური გაგებით – ინდუსტრილიზაციის პროცესის ერთი ნაწილი. აქ რაციონალიზაცია ნიშნავს პროდუქციის სექტორის მომგებიანობის ზრდას სამუშაო პროცესის ტექნიკური აღჭურვისა და ავტომატიზაციის გზით. რაციონალიზაციის შემდეგი ცნება რაციონალობის გატარების პროცესისთვის გამოიყენება. ეს პროცესი არა მხოლოდ პროდუქციის სექტორში, არამედ მაგალითად კულტურასა და მეცნიერებაშიც მიმდინარეობს.

მაქს ვებერის რაციონალიზაციის თეორია, არის ცდა, ვებერის ე.წ. ოქციდენტალური (დასავლეთის ქვეყნების) რაციონალიზმის ახსნისა. ვებერის ცენტრალური ჩანაფიქრი არის ის, რომ რაციონალიზაციის პროცესი მხოლოდ ეკონომიკურ ცხოვრებას კი არ განსაზღვრავს, არამედ ინდივიდები ასევე რაციონალურ ცხოვრებას უძღვებიან და პროფესიულ სფეროშიც რაციონალობის პრაქტიკას გადიან. ვებერი განასხვავებს



მიზანრაციონალურსა და ღირებულებით რაციონალურ მოქმედებას. ორივე ერთად ქმნის პრაქტიკულ რაციონალობას, რომელიც მეთოდურ რაციონალურ ცხოვრების მართვას განაპირობებს. ამ მოსაზრებას რასაც ვებერი შემდგომში პროტესტანტულ ეთიკას უკავშირებს, ჰაბერმასი განსაზღვრავს რომ ის უფრო მეტად "ირაციონალური ცხოვრების მართვის რაციონალიზაციას" წარმოადგენს. (HABERMAS, 1981 ა:260) რაციონალიზაციის პროცესი, ჰაბერმასის მტკიცებით სამ ძირითად გამოვლინებას ეყრდნობა:

– კაპიტალისტური ეკონომიკისა და თანამედროვე სახელმწიფოების დიფერენცირება.

– კულტურული რაციონალიზაცია მაგ. ხელოვნების ავტონომიზირება და

– ცხოვრების მეთოდური მართვის პრინციპი.

ჰაბერმასის მიხედვით, ვებერი ორ დიდ რაციონალიზაციის გზას გამოყოფს დასავლური საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესში: სამყაროს სურათების რაციონალიზაციას და კულტურულის საზოგადოებრივი რაციონალიზაციით ჩანაცვლებას. ვებერის მიხედვით ოქციდენტალური რაციონალიზაციის პროცესს "სამყაროს განჯადოებისკენ" მივყავართ.

საზოგადოებრივი რაციონალიზაცია (ამ აღწერას იყენებს ჰაბერმასი სფეროებისთვის სპეციფიური რაციონალიზაციის, როგორც პროდუქციის სექტორის განსაზღვრისათვის), მაშინ ჩნდება როდესაც რელიგიური ასკეზი რელიგიის გარეთ ცხოვრების სფეროებზე ვრცელდება და თანამედროვე მეცნიერებები წარმოიქმნებიან. აქ ჰაბერმასი ვებერს აკრიტიკებს: ამან ორსაფეხურიანი (კულტურიდან საზოგადოებამდე) რაციონალიზაციის თეზისი ბოლომდე არ მიიყვანა და უპირველეს ყოვლისა "რაციონალიზაციის დიალექტიკას" ვერ ჩაწვდა.

მეოთხე ნაწილში უკვე განხილულ ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაციას რაც შეეხება, აქ საქმე ეხება სამყაროს სურათების დეცენტრირებას, იმას რასაც ნორბერტ ელიასი მზარდ დისტანცირებას ანუ მითებზე გამოკიდებას (მითებზე ნადირობა) უწოდებს, ხოლო ვებერი აღწერს როგორც სამყაროს



განჯადობას. სამყაროს სურათები, (წარმოდგენა ბუნებაზე ან რწმენები ღმერთებზე) და შესაბამისად მოდერნიზებადი საზოგადოების წევრების ცხოვრების სამყაროც რაციონალიზირდება. საზოგადოებები გადიან_ისევე როგორც ცალკეული ინდივიდები- ისტორიული სწავლის პროცესებს, რომლებშიც მათ სულ უფრო მეტი ინტერპრეტაცია და კომპეტენცია მოეთხოვებათ და ისინი სულ უფრო რაციონალურები ხდებიან.

ჰაბერმასი ვებერის ბიუროკრატიზაციისა და რაციონალიზაციის თეორიების მოდიფიცირებას ახდენს:

“ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია იწვევს საზოგადოებრივი ინტეგრაციის ჩანაცვლებას ენისგან დამოუკიდებელ წამყვანი მედიით და ამით ფორმალურად ორგანიზებული მოქმედების სფეროების დაყოფას.”

ჰაბერმასი ამბობს რომ არ არსებობს არანაირი ავტომატიზაცია, რის მიხედვითაც ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია პათოლოგიური უნდა გახდეს. რაციონალიზაცია ცხოვრების სამყაროს პრინციპულად ახალ თამაშის სფეროებს სთავაზობს: თამაშის სფეროები მორალურ_პრაქტიკული განზრახვათა ფორმირებისთვის, ინდივიდების ექსპრესიული თვითწარდგენის და ესთეტიური განთავისუფლებისათვის. ის მოდერნის თვითრეფლექსურობას განაპირობებს.

“ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია ერთი მხრივ დამოუკიდებელი სუბსისტემების განსხვავებულობას განაპირობებს და ამავდროულად ბურგერული საზოგადოების უტოპიურ ჰორიზონტს ხსნის. სადაც ფორმალურად ორგანიზებული ეკონომიკისა და სახელმწიფო აპარატის მოქმედების სფეროები ქმნიან საფუძველს პიროვნული და საჯარო პოსტრადიციულ ცხოვრების სამყაროსთვის. “ (HABERMAS, 1981 ბ: 485)

ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია უტოპიურ მომენტს მოიცავს. მოდერნიზაციისა და კაპიტალიზაციის პროცესებში ყოველდღიური კომუნიკაციის ცალმხრივი რაციონალიზაციები მოქმედებენ პოზიტიურად რაციონალიზებულ ცხოვრების სამყაროზე: მიზანრაციონალური მოქმედების ორიენტაციები დამოუკიდებლები ხდებიან.



რაციონალიზაციის დიალექტიკა იმაში მდგომარეობს რომ ერთი მხრივ “ფართოდ რაციონალიზებული ცხოვრების სამყარო მოდერნიზაციის პროცესებიდან გამოსავალ პირობებს მიეკუთვნება, ამგვარად ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია შეუქცევადია- მეორე მხრივ აურიდებელი რაციონალიზაციების სიუხვე ამ ცხოვრების სამყაროს უტევს.

ცხოვრების სამყაროს კომუნიკაციური, გაგებინებაზე ორიენტირებული პოტენციალები სულ უფრო მეტად იდევნება, ინდივიდების კომუნიკაციური კომპეტენცია უძლურდება, მის ადგილს გასაგნება (საგნად ქცევა) იკავებს. გასაგნების ქვეშ ჰაბერმასს ესმის “ცხოვრებისეული სამყაროს კომუნიკაციური ინფრასტრუქტურების პათოლოგიური ფორმირება”. (HABERMAS, 1981 ბ: 549). ის არის ცალმხრივი რაციონალიზაციის შედეგი. გასაგნება მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებებშია. ბიუროკრატიულ სოციალისტურ საზოგადოებებში კომუნიკაციური ურთიერთობები ვერ გასაგნდებიან, რადგან ისინი იქ საერთოდ არ არსებობენ.

გასაგნება და კულტურული გადარიბება, ტრადიციული ცოდნისა და ცხოვრების სამყაროს დამსხვრევა, არიან ჰაბერმასისთვის ცხოვრების სამყაროს კოლონალიზაციის ინდიკატორები.

გამოსავალი ამ სიტუაციიდან, რომელიც სულ უფროდაუფრო პათოლოგიურ მიმართულებას იღებს, ჰაბერმასისთვის არის კომუნიკაციური საზრისის და კომუნიკაციური რაციონალობის ხელახალ გაძლიერებაში.

თანამედროვე საზოგადოების კრიზისები და პათოლოგიები კომუნიკაციური რაციონალობის რეალობად ქცევას ართულებენ.

6. დროის ამბივალენტური დიაგნოზი

1973 წელს გამოსული ნაწარმოებით “ლეგიტიმაციის პრობლემები გვიანდელ კაპიტალიზმში”, ჰაბერმასმა თანამედროვე დასავლური საზოგადოებების შესაფასებლად მძთელი რიგი თვალსაზრისები წარმოადგინა. მართალია ის ინარჩუნებს გვიანდელი კაპიტალიზმის კრიტიკას, მაგრამ ამ კრიტიკას ასაბუთებს ის უფრო მეტად კულტურის და კომუნიკაციის თეორიის და სოციალური ფილოსოფიის საფუძველზე და ნაკლებად ეკონომიკურ



საფუძველზე. განსაკუთრებით მწვავედ იყენებს ის ფრანგული თანამედროვე ფილოსოფიით გაჯერებულ მიდგომებს, 1980 წელს ქალაქ ფრანკფურტში მაინზე, დაჯილდოებაზე ჰაბერმასი არაორაზროვნად საუბრობდა მოდერნის პროექტის შენარჩუნებაზე. მისთვის ეს პროექტი დამთავრებული ან შეწყვეტილი კი არ არის არამედ არ დასრულებულა. (HABERMAS, 1992).

თუ დროის ამ დიაგნოზს, თანამედროვე საზოგადოების ჩვენებებს, ძველს ახალ ჰაბერმასს შევადარებთ შემდეგი გამოვა:

ჰაბერმასისთვის კრიზისები გვიან (კაპიტალისტური) მოდერნის მეტნაკლებად დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილია. ტერმინოლოგია ცხადს ხდის, რომ ჰაბერმასის დროის დიაგნოზი უფრო რადიკალური გახდა, რადგან ის საუბრობს არა მხოლოდ კრიზისებზე, არამედ ასევე პათოლოგიებზე.

თანამედროვე საზოგადოებები ამჟღავნებენ ავადმყოფურ, შესაძლოა განუკურნებელს სიმპტომებს. მოდერნიზმის უმთავრეს დაავადებას წარმოადგენს ის რომ სისტემის გვერდით ცხოვრების სამყაროც გვხვდება: ცხოვრების სამყაროს კოლონიალიზაციას სისტემური იმპერატივებით მხოლოდ ცხოვრების სამყაროს პათოლოგიებამდე მივყავართ. ჰაბერმასი პათოლოგიურად აფასებს ე.წ. შიდა კოლონიალიზაციასა და გასაგნებას.

საზოგადოებრივი სისტემების მართვის ინსტრუმენტები, როგორებიცაა ეკონომიკა და სახელმწიფო აშკარად დამარცხდნენ. ლეგიტიმურობის წარმოება უკვე შეუძლებელია იმ მეთოდებით, რომლებიც ლუმანმა 60-იანი წლების ბოლოს წარმოადგინა, იმიტომ, რომ თანამედროვე საზოგადოების საკომუნიკაციო პირობები აღარ მოქმედებს.

“ერთი სიტყვით მატერიალური რეპროდუქციის სფეროებში წარმოქმნილი კრიზისები ცხოვრებისეული სამყაროს პათოლოგიზაციის ხარჯზე მიიღებია” (HABERMAS, 1985 ა: 195).

კომუნიკაციურ მოქმედების თეორიასთან დაკავშირებით (შდრ. HABERMAS, 1985), ჰაბერმასი ხაზს უსვამს თუ რამდენად ამბივალენტურია მისი წარმოდგენა თანამედროვე საზოგადოებაზე.



“მე არ მაქვს საბაზისო ნდობა გარემოს მიმართ, მაგრამ არც იმის წარმოდგენა რამაც ქაოსში გამანთავისუფლებელი წესრიგი უნდა შექმნას. მე არაფრისადმი არ მაქვს არაამბივალენტური დამოკიდებულება, ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ძალიან იშვიათად. ამიტომაცა ჩემი გულუბრყვილო დამოკიდებულება საზოგადოებრივ ურთიერთობებისადმი არის არა გულუბრყვილო, არამედ სიღრმისეულად ამბივალენტური. ამბივალენტური ვარ მეც რადგან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რაღაც სიღრმისეულად გამრუდებულია იმ რაციონალურ საზოგადოებაში რომელშიც მე დავიბადე და რომელშიც ახლაც ვცხოვრობ. მეორე მხრივ, სხვა რამ გავიაზრე 1945 წლის გამოცდილების შედეგად, რომ რაღაც უმჯობესდება. ეს არის ჭეშმარიტად რაღაცის გაუმჯობესება.” (HABERMAS, 1985 ა : 203).

ერთი მხრივ ჰაბერმასი იცავს დემოკრატიულ სახელმწიფო წესებს. მეორე მხრივ ის ადგენს, რომ ერთმხრივმა რაციონალიზაციამ და გასაგნებამ დამაფიქრებელ ზომას მიაღწიეს. იმ შეხედულების პარალელურად სადაც კაპიტალიზმი და დემოკრატია დაზავებულნი არიან, კოლონიზებული ცხოვრების სამყაროს თვალთახედვიდან წამოვიდა კონფლიქტების რაფინირებული ფორმების ფუნდამენტური კრიტიკა.

თავისი ამბივალენტური თვალთახედვიდან, ჰაბერმასი საუბრობს როგორ უნდა მოხდეს ამ საზოგადოების მოდერნიზება, და როგორები უნდა იყვნენ მოდერნიზაციის მატარებლები. 70იანი წლების ახალ მოძრაობაზე, რომლებზეც 80-იან წლებში იყო საუბარი, (ეკოლოგია, ქალთა მოძრაობა და სხვ. რომლებზეც ის კომუნიკაციური მოქმედების თეორიის ბოლოს საუბრობს), ის მეტად სკეპტიკურად რეაგირებს ვიდრე 60 იანი წლების სტუდენტურ მოძრაობაზე. “შესაძლოა ახლა იმას უნდა ხედავდნენ, რომ ალტერნატიული სცენები იქმნება იმათზე ვისაც შეუძლიათ წარმატება, საგნების დეპრივატიზაციად აღქმა, რომლებიც საშუალო ფენის სოციალდემოკრატიული მომუშავეებმა ვერ აღმოაჩინეს” (HABERMAS, 1985 ა 199).

ჰაბერმასის ინტერესები ეკუთვნის თანამედროვე გაგების ფორმებს, კომუნიკაციური რაციონალობის განვითარებას და დაბრკოლებას, და



სხვადასხვა როგორც ცალკეული ისე მსოფლიოსაზოგადოების განვითარების გაძლიერებულ შეტევებს ცხოვრების სამყაროზე,- და უკვე აღარ აინტერესებს პროდუქციის დამოკიდებულებები. ჰაბერმასისთვის კლასების არასპეციფიურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველთვის: თანამედროვე კონფლიქტები ადამიანური ინტერაქციაში შემცირებულ ჰუმანურობაში, გასამხედროებაში, ეკოლოგიურ კატასტროფებში, ეთნიკურ და ნაციონალურ კონფლიქტების დერაციონალიზაციაში ვლინდება.

ჰაბერმასის სოციოლოგიის მნიშვნელოვანი მახსიათებელია, მისი ხანგრძლივი გადაწონვები, მისი ხედვა თვითშეფასებაზე როგორც რელატიური ავტონომიური მკვლევარისა ერთისმხრივ და ღია პუბლიცისტური ცხოვრების პიროვნებისა მეორესმხრივ. მაქს ვებერის, ნორბერტ ელიასის, ენტონი გიდენსის, პიერ ბურდიეს მსგავსად, ის ამ ორი ფუნქციის განცალკევების დაკავშირებას ცდილობდა. სხვამხრივ რამდენადაც თვითონაც ხაზს უსვამს ყოველთვის, მისთვის ცენტრალური სიღრმისეული საკითხებია ჭეშმარიტება, კონსესუსი და რაციონალობა:

„როდესაც მე ვამბობ, რომ სტუდენტები ემოციურად დამოკიდებულნი არ არიან იმაზე რასაც მე ვაკეთებ, რასაც ერთად ვაკეთებთ, მაშინ მე უკმაყოფილო ვარ, რადგან ვიცი რომ ყოველ სწავლას ღრმა მოტივის შექმნა განაპირობებს. როდესაც სხვამხრივ შევნიშნავ, რომ სტუდენტები თავიანთი გრძნობებიდან აღარ გამდიან, რადგან სიმბიოტური დამოკიდებულება მყარდება, ეს მე მანევროზეებს. მე მიწნდა სინამდვილის იზოლირებულობის აზრი გადავარჩინო, ცოცხლად შევინარჩუნო იმ სიტუაციაში, რომელიც ობიექტურად იქითაა მიმართული, რომ სინამდვილის საკითხები არ აირიოს სამართლიანობისა და გემოვნების საკითხებში.“. (HABERMAS, 1985 ა: 204).